

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი
ბიოლოგიის დეპარტამენტი

დალი ბერიძე

**აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური
მცენარეული სახეობების ბიოეკოლოგიური და
ფარმაკოგნოსტური კვლევა**

ბიოლოგიის აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაცია

სპეციალობა - მცენარეთა ბიომრავალფეროვნება

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ალიოშა ბაკურიძე - ფარმაცევტულ
მეცნიერებათა დოქტორი,
თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტის
პროფესორი.

მარიამ მეტრეველი - ბიოლოგიის დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და
ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მთავარი
მეცნიერი თანამშრომელი.

ბათუმი - 2019

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

დალი ბერიძე

იანვარი, 2019

შინაარსი

შესავალი.....	5
თემის აქტუალობის დასაბუთება.....	5
კვლევის მიზანი და ამოცანები.....	7
ნაშრომის მეცნიერული სიახლე.....	7
ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება.....	9

ლიტერატურის მიმოხილვა

თავი I. აჭარის ფლორისტული რაიონი და მისი ენდემური მრავალფეროვნება...11	
თავი II. მეორადი მეტაბოლიტების (ტერპენოიდების, ფენოლური შენაერთების და ალკალოიდების) ფარმაკოლოგიური კვლევის შედეგები.....16	
თავი III. აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეული სახეობების გავრცელების არეალის ნიადაგურ-კლიმატური პირობების ზოგადი დახასიათება.....26	

ექსპერიმენტული ნაწილი

თავი IV. კვლევის ობიექტები და მეთოდები.....29	
3.1. კვლევის ობიექტები	29
3.3. კვლევის მეთოდები.....	30
თავი V. აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეული სახეობების გავრცელების არეალების დაზუსტება	33
თავი VI . აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეული სახეობების ბოტანიკური დახასიათება.....	39
თავი VII. აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეების ზრდა-განვითარების თავისებურებები.....	55
თავი VIII. აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეების კვლევა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობაზე.....	65

8.1 აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეების სკრინინგი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ძირითადი კლასების (ალკალოიდები, ფლავონოიდები, კუმარინები) შემცველობაზე.....	65
8.2 აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეების შესწავლა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობაზე ქრომატომასსპექტრომეტრიის GC-MS მეთოდით.....	73
თავი IX. აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეული სახეობების შესწავლა ციტოტოქსიკურ მოქმედებაზე.....	140
დასკვნები.....	162
გამოყენებული ლიტერატურა.....	166

შესავალი

თემის აქტუალობის დასაბუთება:

ცხოვრების თანამედროვე დონე გარკვეულ უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმსა და ჯანმრთელობაზე. დაავადებათა ფართო სპექტრი და მათი მკურნალობის თანამედროვე მდგომარეობა დღის წესრიგში ახალი სამკურნალო საშუალებების შემუშავების და წარმოების აუცილებლობას განაპირობებს. სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენებული სინთეზური პრეპარატების უმრავლესობა ხასიათდება გვერდითი, არასასურველი მოქმედებით. სწორედ ამიტომ, ბოლო პერიოდში მსოფლიო ფარმაცევტულ ბაზარზე მკვეთრად გაიზარდა მცენარეული წარმოშობის სამკურნალო საშუალებათა ხვედრითი წილი, რაც გამოწვეულია მათი მაღალი ეფექტურობით, ორგანიზმის მიერ ადვილად ათვისებადობითა და გვერდითი მოვლენების სიმცირით.

დღეისათვის მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ დაავადებათა რიცხვს მიეკუთვნება ავთვისებიანი სიმსივნე, რომლითაც გამოწვეული ლეტალური შედეგები დღითიდღე არნახულ მასშტაბებს იძენს. ცნობილია, რომ გულსისხლძარღვთა დაავადებების შემდეგ, სიმსივნეები ავადობის მიხედვით მეორე ადგილზეა და აღნიშნული დაავადებით გარდაცვლილი ადამიანების 70% დაბალ და საშუალო განვითარების ქვეყნებზე მოდის, სადაც ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული გამოვლენა და მკურნალობა კვლავაც პრობლემად რჩება. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (*WHO*)-ს ექსპერტთა პროგნოზით, 2030 წლისთვის, კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი 13 მილიონზე მეტი გახდება. ამ მხრივ, გამონაკლისი არც საქართველოა, სადაც 2014 წლიდან მკვეთრად გაიზარდა სიმსივნით დაავადებულთა რიცხვი, განსაკუთრებით ბავშვებში.

ცნობილია, რომ ონკოლოგიური დაავადებების საწინააღმდეგოდ სხივური თერაპიის, რადიოთერაპიის, ჰორმონოთერაპიისა და იმუნოთერაპიის პარალელურად, გამოიყენება მცენარეული წარმოშობის პრეპარატები.

ონკოლოგიურ პრაქტიკაში ამჟამად გამოყენებულ მრავალრიცხოვან ქიმიოთერაპიულ საშუალებებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი, დაახლოებით 28%, უკავია ნატურალურ, სამკურნალო მცენარეული ნედლეულიდან მიღებულ

სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედების შენაერთებსა და მათ წარმოებულებს. ამიტომაცაა განსაკუთრებულად აქტუალური ახალი, ეფექტური სიმსივნის საწინააღმდეგო მცენარეული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ძიება.

საქართველოს მასშტაბით, აჭარის ფლორისტული რაიონის მსხვილ ტაქსონომიურ ჯგუფებში შემავალი მცენარეული სახეობების ინვენტარიზაცია, მათ შორის, ენდემების, ყოველთვის იყო ქართველ და უცხოელ მეცნიერთა და პრაქტიკოსთა პრიორიტეტი, რამაც ასახვა ჰპოვა მათ არაერთ ნაშრომში.

აჭარის (სამხრეთ კოლხეთის) ფლორისტული რაიონი მრავლად არის წარმოდგენილი კავკასიის, საქართველოს, კოლხეთის ენდემური სახეობებით. მათი უმეტესობა სამკურნალო დანიშნულებით შესწავლილია და გამოიყენება ოფიცინალურ მედიცინაში. რაც შეეხება ლოკალური გავრცელების, აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემების 25-მდე სახეობას, სამეცნიერო ლიტერატურაში მწირი ინფორმაციაა მათი ბიოეკოლოგიური თავისებურებებისა და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობის შესახებ, გარდა: *Galanthus krasnovii*, *Galanthus rizechensis*, *Cyclamen adzhariicum* და ნაწილობრივ, *Rhododendron smirnovii*, *Rhododendron ungerii*, *Osmanthus decorus*, სახეობებისა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა მკვლევარების (მემიაძე, ვარშანიძე, მანველიძე, ხარაზიშვილი და სხვები), მიერ ამ სახეობების სისტემატიკურ-ბოტანიკური საკითხები დაზუსტებული და შესწავლილია.

მძლავრმა ანთროპოგენურმა ფაქტორებმა საფრთხე შეუქმნა ენდემურ მცენარეთა სახეობებს და ზოგიერთი მათგანი გადაშენების საფრთხის წინაშე დააყენა. ამიტომაც მათი დროული შესწავლა, უპირველესად, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობის, სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენებისათვის პერსპექტიული სახეობის გამოვლენის და მათი შენარჩუნებისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარების მიზნით, ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა ბოტანიკოსების, ბიოლოგებისა და ფარმაცოგნოსტებისთვის.

აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეული სახეობების შესწავლა მას შემდეგ გახდა კიდევ უფრო საინტერესო, რაც გაიხსნა საზღვარი მეზობელი თურქეთის სახელმწიფოსთან. მცენარეებისთვის ადრე არსებული ბუნებრივ-

გეოგრაფიული ბარიერები მარტივად გადასალახავი გახდა. ამიტომაც, აჭარისა და მეზობელი ისტორიული ლაზეთის - საქართველოს თურქეთთან ტრანსსასაზღვრო ზონის მცენარეულობის შესწავლა მეტად აქტუალურია.

წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება აჭარისა და აჭარა - ლაზეთის აქამდე შეუსწავლელი ენდემური მცენარეული სახეობების ბიოეკოლოგიური თავისებურებების, მათში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობის კვლევას, ფარმაკოგნოსტურ დახასიათებას და მედიცინაში გამოყენების პერსპექტივის განსაზღვრას.

კვლევის მიზანი და ამოცანები: კვლევის მიზანს წარმოადგენდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, აჭარის (სამხრეთ კოლხეთი) ფლორისტულ რაიონში მოზარდი აჭარისა და აჭარა - ლაზეთის ენდემური მცენარეების ბიოეკოლოგიური და ფარმაკოგნოსტური შესწავლა.

მიზნის მისაღწევად დავისახეთ შემდეგი სახის ამოცანები:

1. აჭარისა და აჭარა - ლაზეთის ენდემური მცენარეების გეოგრაფიული გავრცელების არელების დაზუსტება;
2. აჭარისა და აჭარა - ლაზეთის ენდემური მცენარეების ბოტანიკური დახასიათება;
3. აჭარისა და აჭარა - ლაზეთის ენდემური მცენარეების ზრდა-განვითარების თავისებურებების შესწავლა;
4. აჭარისა და აჭარა - ლაზეთის ენდემური მცენარეების სკრინინგი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ძირითადი კლასების შემცველობაზე;
5. აჭარისა და აჭარა - ლაზეთის ენდემურ მცენარეებში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობის განსაზღვრა ტანდემური ქრომატომასსპექტრო-მეტრის *GC-MS* მეთოდით;
6. ბიოლოგიურად აქტიურ ნაერთთა შემცველი აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეული სახეობების ციტოტოქსიკური მოქმედების შესწავლა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე: შესწავლილია აჭარისა და აჭარა - ლაზეთის ზოგიერთი ენდემური მცენარეული სახეობის ბუნებაში ზრდა-განვითარების თავისებურებები სეზონურ დინამიკაში. საკვლევი სახეობების სასიცოცხლო

ფორმების მიხედვით განხილულია ვეგეტაციის დასაწყისის, ზრდის პროცესის, ყვავილობისა და ნაყოფმსხმარობის მიმდინარეობა, დადგენილია, რომ ვეგეტაციური განვითარების პერიოდი მოიცავს ძირითადად 6-8 თვეს, ყველა სახეობა ხასიათდება სრულყოფილი გენერაციული განვითარებით. გაანალიზებულია გავრცელების არეალები, მოცემულია რიტმოლოგიური და ბიომორფოლოგიური დახასიათება.

პირველად არის სრულყოფილად შესწავლილი აჭარის 6 და აჭარა-ლაზეთის 15 ენდემური სახეობა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობაზე. დადგენილია სხვადასხვა კლასის ნაერთების - ფლავონოიდების, კუმარინების, ალკალოიდების, მთრიმლავი ნივთიერებების, ტერპენოიდების და სხვა, შემცველობები.

სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენების მიზნით, ფიტოქიმიური და ფარმაკოლოგიური კვლევების საფუძველზე, შემდგომი შესწავლისათვის გამოვლენილია აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ზოგიერთი ენდემური მცენარეული სახეობა: *Angelica adzharica* M.Pop., *Centaurea adzharica* Sosn., *Erysimum contractum* Somm. et Levier., *Astragalus adzharicus* M.Pop., *Astragalus sommieri* Freyn., *Hypericum nordmanni* Khokhr., *Hypericum ptarmicifolium* var. *adzharicum*, *Scutellaria pontica* C. Koch., *Seseli foliosum* (Somm. et Lev.) Mand. .

შესწავლილია აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ზოგიერთი ენდემური მცენარის მეთანოლიანი ექსტრაქტების ციტოტოქსიკური მოქმედება *in vitro* ცდაში, *Resazorin*-ის და *Hoechst*-ის მეთოდების გამოყენებით, A-549 (ფილტვის კარცინომა) და DLD-1 (სწორი ნაწლავის კარცინომა) სიმსივნეებზე, ამასთან განსაზღვრულია მათი უვნებლობა ჯანმრთელ უჯრედებზე (კანის ნორმალური ფიბროპლასტების უჯრედული კულტურა -WS-1). ექსპერიმენტული კვლევის შედეგად, შემდგომი შესწავლისათვის, პერსპექტიულ სახეობად მიჩნეულია *Erysimum contractum* Somm. et Levier.

Erysimum contractum Somm. et Levier. ბალახიდან მიღებული ახალგალენური პრეპარატის შემცველი ლიპოსომურ ნაწონაწილაკებს გააჩნიათ სელექციური მოქმედება, კერძოდ, მაღალი ციტოტოქსიკური მოქმედება A-549 (ფილტვის კარცინომა) და DLD-1 (სწორი ნაწლავის კარცინომა) სიმსივნეებზე და

იმავდროულად უვნებელია კანის ნორმალური ფიბროპლასტების უჯრედული კულტურის -WS-1-ის, მიმართ.

შეჯგუფული ერიზიმუმის ბალახისგან მიღებულ მეთანოლიან ექსტრაქტს და საგულე გლიკოზიდებით გამდიდრებულ ფრაქციას არ გააჩნიათ კურკუმინის ტოლფასი ციტოტოქსიკურობა ადამიანის სარძევე ჯირკვლის ადენოკარცინომის უჯრედული ხაზის MCF-7 მიმართ, ამასთან, მათ ახასიათებთ მაღალი სპეციფიკური ციტოტოქსიურობა კერატინოციტების მიმართ.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება. აჭარის ფლორისტულ რაიონში გავრცელებული აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეული სახეობების ბიოეკოლოგიური თავისებურებების კვლევის შედეგების საფუძველზე, მომავალში მოხდება მათი კონსერვაცია და გონივრული გამოყენება.

სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენების მიზნით, ფიტოქიმიური და ფარმაკოლოგიური კვლევების საფუძველზე, შემდგომი შესწავლისთვის გამოვლენილია აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ზოგიერთი ენდემური მცენარეული სახეობა: *Angelica adzharica* M.Pop., *Centaurea adzharica* Sosn., *Erysimum contractum* Somm. et Levier., *Astragalus adzharicus* M.Pop., *Astragalus sommieri* Freyn., *Hypericum nordmanni* Khokhr., *Hypericum ptarmicifolium* var. *adzharicum*, *Scutellaria pontica* C. Koch., *Seseli foliosum* (Somm. et Lev.) Mand. და სხვა.

შეჯგუფული ერიზიმუმის *Erysimum contractum* Somm. et Levier. ბალახისგან მიღებული ახალგაღენური პრეპარატის შემცველი ლიპოსომური ნანონაწილაკების სელექციური, სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედება მნიშვნელოვანი წინაპირობაა მიზანმიმართული მიწოდების სამკურნალწამლო საშუალებების შემუშავებისათვის.

კვლევის შედეგების აპრობაცია: სადისერტაციო ნაშრომის მასალები მოხსენებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის წინაშე სასემინარო და საკოლოქვიუმო ნაშრომების სახით (2014-2017 წწ). ნაშრომმა წარმატებით გაიარა აპრობაცია ფაკულტეტის საბჭოზე.

კვლევის შედეგები წარდგენილი იყო სასტენდო და ზეპირი მოხსენების სახით საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე; ნაშრომის შედეგები გამოქვეყნებულია სამ

იმფაქტვაქტორიან, ერთ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალში; 2 ნაშრომი ადგილობრივ და 2 - საერთაშორისო კონფერენციის მასალებშია გამოქვეყნებული.

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა: დისერტაციის ტექსტი მოიცავს 181 კომპიუტერულ ნაბეჭდ გვერდს და შედგება: შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, ექსპერიმენტული ნაწილის, დასკვნებისა და ლიტერატურის ჩამონათვალისგან. ტექსტში ჩართულია 71 ცხრილი და 86 სურათი.

ლიტერატურის მიმოხილვა

თავი I

აჭარის ფლორისტული რაიონი და მისი ენდემური მრავალფეროვნება

აჭარის ტერიტორია მცენარეულობის ისტორიული წარსულით, ფლორისტული კომპლექსების სახეობრივი შემადგენლობით, სისტემატიკური სტრუქტურით, უძველესი ხმელთაშუაზღვისპირეთის სამყაროს, სუბხმელთაშუაზღვისპირეთის ოლქის, კოლხეთის ანუ აღმოსავლეთ ევქსინიის პროვინციის აჭარა-შავშეთის არეს (ოკრუგს) მიეკუთვნება და მისი ფლორისტული მრავალფეროვნება მესამეული პერიოდის ხმელთაშუაზღვისპირეთის ავტოქტონური წარმოშობის ფლორით ხასიათდება. სპეციფიკური რელიეფის, ბუნებრივ-კლიმატური პირობების მრავალფეროვანი სპექტრის და შედარებით თბილი ანკლავების წყალობით, რომლებმაც ხელი შეუწყო სუბტროპიკული სახეობების სიცოცხლისუნარიანობას და გადარჩენას კოლხეთში, განსაკუთრებით კი სამხრეთ კოლხეთში, აქ მუდმივად იყო რეფუგიალური ფლორის ჩამოყალიბების პირობები. სწორედ ამან განაპირობა სამხრეთ კოლხეთის ველური ფლორის რელიქტური და ენდემური სახეობრივი სიმდიდრე. ეს კი თავის მხრივ, ადასტურებს კოლხეთის ფლორის მეზოფილური ბირთვის თვითმყოფადობას და უძველესობას, რომლის შიგნითაც მიმდინარეობდა და მიმდინარეობს სახეობათა წარმოქმნის პროცესები. წარსული გეოლოგიური ეპოქებიდან შემოგვრჩა მრავალი „რელიქტური კუნძული“ ტიპური მცენარეებით. თანამედროვე პერიოდში ეს რელიქტები სახეობათა წარმოშობის დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს. ამ მიზეზების გამოა საქართველო მდიდარი რელიქტებითა და ენდემური მცენარეებით. აჭარის ფლორის შესწავლა კავკასიის, კერძოდ კოლხეთის მცენარეთა სამყაროს შესწავლასთანაა დაკავშირებული. საქართველოს ფლორის შესახებ ცნობები ჯერ კიდევ შუა საუკუნეების ნაშრომებში მოიპოვება. მე-18 საუკუნეში იზრდება მკვლევართა დაინტერესება კავკასიისადმი, ყურადღების ცენტრში კოლხეთის ბუნებაც ექცევა. მე-19 საუკუნეში აჭარის ფლორის შესახებ მონაცემები კავკასიის ფლორის მკვლევართა არაერთ ნაშრომშია ასახული. აჭარის ფლორის მრავალფეროვნება სახეობების არეალთა ტიპების მიხედვითაც

გამოიხატება: ჰოლარქტიკის და პალეარქტიკის სახეობების გვერდით გვხვდება რელიქტური-კოლხური, ხმელთაშუაზღვისპირეთის წინააზიური, კავკასიური, სტეპის და უდაბნოს სახეობებიც კი. აჭარა კავკასიაში ყველაზე მდიდარი ფლორისტული რეგიონია. ეს სიმდიდრე ენდემური სახეობების სიმრავლით განისაზღვრება.

აჭარის ფლორისა და მცენარეულობის მრავალფეროვნებას, მის გამორჩეულობას, როგორც ცნობილია განსაზღვრავს ის, რომ სამხრეთ კოლხეთი გამყინვარების პერიოდში რელიქტებისა და ენდემების თავშესაფარი იყო. რელიქტების მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილობრივი კოლხური წარმოშობისაა და ხშირ შემთხვევაში ენდემურია.

აჭარის ფლორისტული რაიონი მოიცავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის საზღვრებს (კეცხოველი, ხარამე, გაგნიძე: 1971-2007) და მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. მისი სამხრეთი საზღვარი ემთხვევა თურქეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვარს და მიჰყვება შავშეთის ქედს, ჩრდილოეთიდან ესაზღვრება მესხეთის ქედი, აღმოსავლეთით არსიანის ქედი, დასავლეთით შავი ზღვა და უჭირავს 2900 კმ² ფართობი ზღვის დონიდან 0-2993მ სიმაღლეებზე (*Нижарадзе, 1961*). განლაგებულია ხმელეთის ბიოლოგიური მრავალფეროვნებით გამორჩეულ კავკასიის ეკორეგიონში, რომელიც ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირმა (*IUCN*), შეიტანა მსოფლიოს იმ ცხელი წერტილების (*Hotspots*) ნუსხაში, რომლებიც ხასიათდებიან ყველაზე დიდი ბიოლოგიური მრავალფეროვნებითა და საფრთხეში მყოფი ხმელეთის ეკოსისტემების სიუხვით და საინტერესო გეოგრაფიული მდებარეობით. ეს ტერიტორია შედის მსოფლიოში აღიარებულ 200 ეკორეგიონს შორის სახეობათა სიუხვის, ენდემიზმის მაჩვენებლის, ტაქსონომიური უნიკალურობის, წარმოშობის თავისებურებების და ჰაბიტატების იშვიათობის მიხედვით გამორჩეულ მცირე კავკასიონის სამხრეთ დასავლეთ კორიდორში (*WWF & IUCN, 1974; Williams, Zazanashvil., Sanadiradze, Kandaurov 2006; WWF Global 200 Ecoregions; WWF 1998; <http://www.wwf.org/>; <http://www.worldwildlife.org>*). ნიშანდობლივია აგრეთვე ის ფაქტი, რომ ველური ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (*WWF*) ინიციატივაში “ევროპის ტყეების 100 ცხელი წერტილის შესახებ”, ანუ დაუცავ ტყეთა 100 მონაკვეთის შესახებ, რომლებიც

აუცილებლად საჭიროებენ დაცვას, ერთ-ერთი უპირველესი პრიორიტეტი ენიჭება აჭარის უნიკალურ ტყის ეკოსისტემებს (*The map- "100 European Forests We Should Protect Now"*, 1997).

დღეისათვის დადგენილია, რომ აჭარის ველური ფლორა 1837 სახეობას ითვლის. ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, აჭარის ენდემური ფლორა 174 სახეობას მოიცავს. ისინი მიეკუთვნება 43 ოჯახს და 109 გვარს, რაც აჭარის მთლიანი ფლორისტული შემადგენლობის 9,47%-ს შეადგენს, ხოლო გეოგრაფიული სტრუქტურის მიხედვით წარმოადგენს კავკასიის, საქართველოს, კოლხეთის, აჭარა-ლაზეთისა და აჭარის სახეობებს (მემიაძე, 2004 -2009: 20,21,22).

მ. კიკვიძის მონაცემებით („*Red List of the endemic plants of the Caucasus: Armenia, Azerbaijan, Georgia, Iran, Russia and Turkey*”), საქართველოში კავკასიის ენდემურ ჭურჭლოვან მცენარეთა 1300-მდე სახეობა გვხვდება, რომელთაგან 280-მდე სახეობა საქართველოს ენდემია (კიკვიძე... 2015:17).

ჩვენი კვლევის დასაწყისში ადგილობრივი ფლორის მკვლევართა მიერ (ბიოლოგიის დოქტორი, ნინო მემიაძე) მოწოდებული იქნა აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ლოკალური გავრცელების ენდემური მცენარეული სახეობების ნუსხა, კერძოდ,

აჭარის ენდემური მცენარეული სახეობები:

1. *Angelica adzharica* M.Pop.(*Umbelliferae* Juss., *Apiaceae* Lindl.) - აჭარული ანგელოზა.
2. *Allium adzharicum* M.Pop. (*Liliaceae* Juss.) - აჭარული ხახვი.
3. *Astragalus doluchanovii* Manden. (*Fabaceae* Lindl.) - დოლუხანოვის ასტრაგალი.
4. *Centaurea adzharica* Sosn. (*Asteraceae* Dumort. (*Compositae* Giseke))-აჭარული დიდილო.
5. *Erysimum contractum* Somm. et Levier. (*Cruciferae* Juss. (= *Brassicaceae* Burnett.)) - შეჯგუფული ერიზიმუმი.
6. *Psoralea acaulis* var. *adzharica* (*Fabaceae* Lindl.) - აჭარული დათვიმარწყვა.
7. *Ranunculus ampellophylus* var.*adzharica* (*Ranunculaceae* Juss.) - ყურძნისფოთოლა ბაია.

8. *Rubus adzhharicus* Sanadze (*Rosaceae* Juss.) - აჭარული მაცვალი.
 აჭარა - ლაზეთის ენდემური მცენარეული სახეობები:
1. *Amaracus rotundifolius*(Boiss.)Briq. (= *Origanum rotundifolium*) (*Lamiaceae* Juss. (= *Labiaceae*)) - მრგვალფოთოლა ამარაკუსი.
 2. *Astragalus adzhharicus* M.Pop. (*Fabaceae* Lindl.) - აჭარული გლერძი.
 3. *Astragalus sommieri* Freyn. (*Fabaceae* Lindl.) - სომიერის ასტრაგალი.
 4. *Hypericum nordmanni* Khokhr. (*Hypericaceae* Juss.) - ნორდმანის კრაზანა.
 5. *Hypericum ptarmicifolium* var. *adzhharicum* (*Hypericaceae* Juss.) - აჭარული კრაზანა.
 6. *Linaria adzhharica* Kem. - Nath. (= *L. sypirensis* C. Koch.) (*Scrophulariaceae* Juss.) - აჭარული სელიჭა
 7. *Osmanthus decorus* (Boiss. et Bal.) (*Oleaceae* Hoffm. et Link.) - წყავმაზა.
 8. *Primula megasaefolia* boiss. Et Bal. (*Primulaceae* Vent.) - ჩაგისებრი ფურისულა.
 9. *Quercus petra* var. *dshorochensis* (c. Koch.) (*Fabaceae* Lindl.) - ჭოროხის მუხა.
 10. *Rhododendron smirnovii* Trautv. (*Ericaceae* DC) - სმირნოვის შქერი.
 11. *Rhododendron ungerii* Trautv. (*Ericaceae* DC) - უნგერნის შქერი.
 12. *Rhynchospora caucasica* Vahl. (*Cyperaceae* Juss.) - კავკასიური რინხოსპორა.
 13. *Scrophularia chloranta* Ky et Boiss. (*Scrophulariaceae* Juss.) - მწვანეყვავილა შავწამალა.
 14. *Scutellaria pontica* C. Koch. (*Labiatae* L.) - პონტოური მუზარადა.
 15. *Seseli foliosum* (Somm. et Lev.) Mand. (*Umbelliferae* Juss., *Apiaceae* Lindl.) - შეფოთლილი ზეზელი.
 16. *Cyclamen adzhharicum* Pobed. (= *C. adjaricum* var. *ibericum*) (*Primulaceae* Vent.) - აჭარული ყოჩივარდა.
 17. *Galanthus krasnovii* Khokhr. (*Amarylidaceae* Juss.) - კრასნოვის თეთრყვავილა.
 18. *Galanthus rizechensis* Stern. (= *G. cilicicus* Baker., *G. glaucescens* Khokhr.) - რიზეს თეთრყვავილა.

Rhododendron ungerii, *Rh. smirnowii*, *Quercus petra* var. *dshorochensis*
 მეზოფილური დენდროფლორის წარმომადგენლები არიან.

აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური სახეობებიდან ველური ფაუნისა და ფლორის გადამენების საფრთხეში მყოფი სახეობების საერთაშორისო ვაჭრობის კონვენციის (CITES) ნუსხაში დღეისათვის შეტანილია მხოლოდ 2 სახეობა: *Galanthus krasnovii* და *Cyclamen adzharicum* (ბიჭაძე...2001:4; CITES species;www.cites.org:149). ასევე, IUCN წითელ ნუსხაშია შეტანილი *Angelica adzharica* და *Erysimum contractum* Sommier & Levier (Gagnidze, 2015 : 65; Shetekauri, 2014 : 120). საქართველოს წითელი ნუსხით (2006) დაცულია ენდემური სახეობები: *Astragalus sommieri*, *Osmanthus decorus*, *Rhododendron smirnowii*, *Rhododendron ungerii* (მანველიძე, 2008: 23). საქართველოს წითელი წიგნით დაცული სახეობებია: *Rhododendron smirnowii*, *Rhododendron ungerii*, *Quercus petra* var. *dshorochensis*, *Astragalus Sommieri*, *Primula megaseifolia*, *Angelica Adzharica* (საქართველო...1982: 24).

თურქეთის წითელ ნუსხაში შეტანილია საქართველო-თურქეთის ტრანსსაზღვრო მონაკვეთისათვის საერთო გავრცელების მქონე 10 ენდემური სახეობა: *Galanthus krasnovii*, *Astragalus adzharicus*, *Astragalus sommieri*, *Galanthus rizechensis*, *Lilium ponticum*, *Osmanthus decorus*, *Primula megasaefolia*, *Rhododendron smirnovii*, *Rhododendron ungerii*, *Seseli foliosum* (Ekim...2000: 58).

თავი II

მეორადი მეტაბოლიტების (ტერპენოიდების, ფენოლური შენაერთების და ალკალოიდების) ფარმაკოლოგიური კვლევის შედეგები

უძველესი დროიდან ადამიანებსა და მცენარეებს შორის განსაკუთრებული კავშირი იყო. სამკურნალო მცენარეთა ეფექტურობა პირდაპირ დაკავშირებულია მცენარის ბიოლოგიურად აქტიურ კომპონენტებთან, რომელთაც ჯანმრთელობის გაუმჯობესება შეუძლიათ (*Petrovska*, 2012: 110). ფარმაცევტული ქიმიის სწრაფმა განვითარებამ კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი ათასობით მცენარის გამოკვლევას. დღეისათვის მედიცინაში გამოყენებული წამალთფორმების 30% პირდაპირ თუ ირიბად მცენარეული წარმოშობისაა. კარდიოლოგიაში, გულსისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალოდ, ონკოლოგიაში სიმსივნეების სამკურნალოდ, გამოიყენება ასობით სხვადასხვა პრეპარატი. რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მცენარეული შენაერთებიდან მიღებულ პრეპარატებს (28%). ქიმიოთერაპიის არასასურველი შედეგების რიცხვი საკმაოდ მაღალია. ნატურალური სამკურნალო წამლო საშუალებების სარგებლობით, კერძოდ მცენარეული წარმოშობის პროდუქტების გამოყენებით, მცირდება გვერდითი ეფექტები. ამჟამად, არცთუ ისე დიდია იმ მცენარეთა რიცხვი, რომლებიც გამოიყენება სიმსივნის საწინააღმდეგო თერაპიაში, თუმცა, უამრავ მცენარეულ ჩატარებული *in vitro* კვლევა, რითაც დადასტურებულია მათი ანტისიმსივნური მოქმედება, მაგრამ ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შეფასებული. შემდგომი კვლევები აუცილებელია, რათა დადგინდეს იქნეს მცენარეული წარმოშობის პრეპარატების ეფექტურობა (*Basholli-Salihu...*2017:40)

ორგანულ შენაერთებს მცენარის სხვადასხვა ორგანოში (ყვავილი, ნაყოფი, თესლები, ფესვი და ა.შ.) დაგროვების უნივერსალური თვისება აქვთ და მათი შემცველობის მიხედვით შესაძლებელია მედიცინაში გამოყენება. პირველად მეტაბოლიტებს: ნახშირწყლებს, ცილებს, ლიპიდებს, ნუკლეინის მჟავებს, ორგანულ მჟავებს, ვიტამინებს, ფერმენტებს, შეიცავს ყველა მცენარე და მათი ფუნქცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ისინი მონაწილეობას ღებულობენ მცენარის ზრდა-განვითარებაში, სუნთქვაში, ფოტოსინთეზში, გამრავლებაში და ა.შ. (*Fang*, 2012:62). მეორადი მეტაბოლიტები მცენარეებში დისიმილაციის შედეგად ყალიბდება. ადრე

მათი ფუნქცია ნაკლებად ცნობილი იყო, მათ მხოლოდ მავნე და მომწამლავ ნივთიერებებზე თვლიდნენ. დღეისათვის ცნობილია, რომ მათ ძირითადი დამცავი და სამარაგო ფუნქცია აქვთ მცენარისათვის, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია და მედიცინაში გამოყენების მთავარი პირობაა.

მეორადი მეტაბოლიტები რამდენიმე ჯგუფად იყოფა, მათგან ძირითადია: ტერპენოიდები (იზოპრენოიდები), ალკალოიდები, ფენოლური ნაერთები.

ტერპენოიდები ბუნებრივ შენაერთთა უდიდესი კლასია, მათი რიცხვი 22,000-ზე მეტია. ტერპენოიდები ფართოდ არიან გავრცელებული მცენარეთა სამეფოში და ხასიათდებიან თერაპიული მოქმედების ფართო სპექტრით. მათ სიმსივნის საწინააღმდეგო კლინიკურ კვლევებშიც აქტიურად იყენებენ. შედიან ეთეროვანი ზეთების, ბალზამებისა და ფისების შემადგენლობაში. ტერპენოიდების კლასს ეკუთვნის: კარდენოლიდები, სტეროიდული და ტრიტერპენული საპონინები, მწარე გლიკოზიდები, კაუჩუკი, გუდაპერჩი (*Taiz...2002:129*). ტერპენოიდებს აგრეთვე უწოდებენ „იზოპრენოიდებს“, რომელთაც ძირითადად მცენარეები აწარმოებენ. ცნობილი ინდივიდალური ტერპენული შენაერთების რიცხვი 40 000 - ია. ამასთან, ყოველ წელს მიმდინარეობს ტერპენული ბუნების ახალი ნაერთების აღმოჩენა. ტერპენოიდების უმრავლესობა ამჟღავნებს ციტოტოქსიკურ მოქმედებას, მაგალითად, მკერდის სიმსივნური უჯრედების წინააღმდეგ, ასევე, *in vitro* და *in vivo* ცდებით დადასტურებულია, რომ ტერპენული შენაერთები გამოიყენება ღვიძლის კიბოს წინააღმდეგ, გარდა ღვიძლის სიმსივნეებისა, ცნობილია მათი მოქმედება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სიმსივნეების წინააღმდეგაც (*Thoppil...2011:130*). ტერპენები ხასიათდებიან სასიამოვნო სუნით. მათ შეიცავს წიწვოვანი მცენარეები, ძირითადად მონოციკლური ტერპენების წარმომადგენელს ლიმონენს. ლიმონენს შეიცავს აგრეთვე მრავალი ეთერზეთი, მათ შორის ლიმონის ეთერზეთიც, რაც განაპირობებს ლიმონის სასიამოვნო სუნს. ბიციკლურ ტერპენებს მიეკუთვნება ბორნეოლი, ქაფური, პინენი. ბორნეოლი შედის ქაფურის, ლავანდის და მუსკატის ეთერზეთებში. ქაფური ფართოდ არის გავრცელებული ბუნებაში, სინთეზურად ქაფურს ღებულობენ α - პინენისა და ბორნეოლისაგან. α - პინენიდან (სკიპიდარიდან) მიღებული ქაფური შეიცავს მრავალ ნივთიერებას მინარევის სახით და გამოყენებულია მხოლოდ

ტექნიკური მიზნებისთვის. ბორნეოლისგან მიღებული ქაფური სუფთაა და გამოყენებულია მედიცინაში. იგი იწვევს ცენტრალური ნერვული სისტემის აგზნებას, ხელს უწყობს სუნთქვას, დადებითად მოქმედებს გულის კუნთის მუშაობაზე და აჩქარებს სისხლის მიმოქცევას. ბუნებაში გავრცელებულია α და β პინენი, რომელიც სკიპიდარის შემადგენელი ნაწილია, სკიპიდარს ღებულობენ წიწვოვანი ხეების ფისოვანი გამონაყოფის წყლის ორთქლით გამოხდის შედეგად. აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი მცენარეული, ბუნებრივი პიგმენტები - კაროტინი და ლიკოპინი ტეტრატერპენებია. მათ ყვითელი ან მოწითალო - ნარინჯისფერი შეფერილობა აქვთ. პოლიტერპენებიდან აღსანიშნავია კაუჩუკი და გუტაპერჩი. კაუჩუკს ღებულობენ მცენარე ჰევეასაგან (ტაბატაძე...2010:25).

ფენოლურ შენაერთები ქიმიურად ჰეტეროგენური ბუნებისაა, დაახლოებით 10,000 ინდივიდუალური შენაერთია, ისინი არომატული ბუნების ნივთიერებებია, რომლებიც შეიცავენ ბენზოლის რგოლს ერთი ან რამდენიმე ჰიდროქსილურ ჯგუფით. ფენოლური შენაერთებიდან მნიშვნელოვანი ჯგუფია ფლავონოიდები, მათ უწოდებენ „ბიოლოგიური რეაქციის ნატურალურ მოდიფიკატორებს“ მათ აქვთ უნარი შეცვალონ ადამიანის ორგანიზმის რეაქცია მაგალითად, ალერგენებზე და კანცეროგენებზე. აქვთ ანთების საწინააღმდეგო, ანტიალერგიული, ანტიმუტაგენური, ანტიბაქტერიული, ანტივირუსული და ციტოტოქსიკური, სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედება. გარდა ამისა, ფლავონოიდები ცნობილია როგორც ლიპიდების პეროქსიდული ჟანგვის და თრომბოციტების აგრეგაციის ინჰიბიტორები (Hollman...1999:71; Huang...2010:72), ამით ისინი დადებითად მოქმედებენ ჯანმრთელობაზე და შეიძლება განიხილებოდეს როგორც შესაძლო ქიმიოპროფილაქტიკური საშუალებები. ადამიანის ორგანიზმში ისინი წარმოადგენენ ეფექტურ ანტიოქსიდანტებს, ისევე როგორც, სხვა ანტიოქსიდანტები (მაგალითად, ვიტამინები C და E). ბუნებრივ პოლიფენოლურ შენაერთთა რამდენიმე ასეული ცნობილი ნივთიერებიდან ყველაზე გავრცელებული ფლავონოიდებია, ისინი გვხვდებიან პრაქტიკულად ყველა საკვებ მცენარეში, როგორცაა ხილი და ბოსტნეული, ამიტომ ხდება მათი მნიშვნელოვანი რაოდენობით მოხმარება. ითვლება, რომ ადამიანის მოთხოვნილება ყველა ფლავონოიდზე შეადგენს რამდენიმე ათას მილიგრამს დღეში.

გარდა ამისა, ფლავონოიდები აღმოჩენილია სამკურნალო მცენარეებში, ისინი ფართოდ გამოიყენებოდა მთელი მსოფლიო მასშტაბით ხალხურ მედიცინაში, განსაკუთრებით ჩინეთში. ფლავონოიდები ააქტიურებს ფერმენტებს, უმეტესობა თრგუნავს ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის რეპლიკაციას (*ერისთავი*, 2005:14), მონაწილეობენ უჯრედის სუნთქვაში კატალიზატორების სახით, აჩქარებენ რა ფიზიოლოგიურ პროცესებს. დღეისათვის შეისწავლება ათეროსკლეროზისა და ათეროთრომბოზის დაავადებათა პროფილაქტიკისათვის ფლავონოიდების გამოყენების პერსპექტივა. არსებობს მონაცემები იმის შესახებ, რომ ფლავონოიდების ანტიათეროგენური ეფექტი განპირობებულია მათ მიერ მიელოპეროქსიდაზის ინჰიბირებით, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ათეროგენეზში. აქვთ დიაბეტის საწინააღმდეგო მოქმედებაც, შეუძლიათ სისხლში გლუკოზის დონის რეგულირება.

ფლავონოიდებს ახასიათებთ 20-ზე მეტი მიმართულების ფარმაკოლოგიური მოქმედება. ამ ნაერთებით განსაკუთრებით მდიდარია უმაღლესი მცენარეები. აგრეთვე, აღმოჩენილ იქნა უმდაბლეს მცენარეებშიც: მწვანე წყალმცენარეებში (ლემნა), სპოროფიტებში (ხავსები, გვიმრები), ლიქენებში, ასევე, ზოგიერთ მწერში (თეთრი პეპელა). ფლავონოიდები გროვდება მცენარის სხვადასხვა ორგანოში, მაგრამ ყველაზე ხშირად მიწისზედა ნაწილებში: ყვავილებში, ფოთლებში, ნაყოფებში. მნიშვნელოვნად ნაკლებია მათი შემცველობა ღეროსა და მიწისქვეშა ორგანოებში. განსაკუთრებით მდიდარია ახალი ყვავილები, უმწიფარი ნაყოფები. ისინი გახსნილ მდგომარეობაში ლოკალიზდება უჯრედულ წვენში. ფლავონოიდების შემცველობა მცენარეებში განსხვავებულია: საშუალოდ 0,5-5%, ხანდახან 20% აღწევს. მცენარულ სამყაროში ყველაზე ხშირად გვხვდება ფლავონოლები (კემპფეროლი, კვერცეტინი, იზორამნეტინი), ფლავონები (აპიგენინი, ლუტეოლინი და მათი წარმოებულები) და ანტოციანიდინები (ციანიდინის, დელფინიდინის და პელარგონიდინის გლიკოზიდები), ნაკლებად იზოფლავონები, აურონები და ქალკონები. მაგალითად, იზოფლავონები აღმოჩენილია პარკოსანთა, ზამბახისებრთა, ვარდისებრთა ოჯახის წარმომადგენლებში, ხოლო აურონები და ქალკონები დამახასიათებელია ძირითადად ასტრისებრთა და პარკოსანთა ოჯახებისთვის. ლეიკოანტოციანიდინები ძირითადად გვხვდება მერქნიან მცენარეებში, სადაც ისინი კატექინებთან ერთადაა

წარმოდგენილი (ოჯახი არყისებრთა, წიწიბურასებრთა, ტირიფისებრთა, წიფელასებრთა, ჩაისებრთა, ვარდისებრთა, რიგ გვიმრანაირებში და წიწვოვნებში) (*Myrawyeva, 2002:35*). მცენარეებში ფლავონოიდური ნაერთები, გარდა კატექინებისა და ლეიკოანტოციანებისა, შედარებით იშვიათად გვხვდება თავისუფალ მდგომარეობაში. მათი დიდი უმრავლესობა წარმოდგენილია სხვადასხვა გლიკოზიდის სახით. ფლავონოიდური გლიკოზიდების მრავალფეროვნება განპირობებულია შაქრების მრავალფეროვნებით.

ფლავონოიდები, როგორც აღვნიშნეთ, ავლენენ ბიოლოგიური აქტიურობის ფართო სპექტრს. ეს გულისხმობს: ანთების საწინააღმდეგო, ანტიბაქტერიულ, ანტივირუსულ, ანტიალერგიულ ციტოტოქსიკურ, სიმსივნის საწინააღმდეგო, ნეიროდეგენერაციული დაავადებების სამკურნალო, სისხლძარღვების გამაფართოებელ მოქმედებას (*Williams...2004:140*). ფლავონოიდების ბიოლოგიური თვისებებიდან ყველაზე ადრე აღმოჩენილი იქნა მათი სისხლძარღვების მედეგობის გამაძლიერებელი მოქმედება. ყველაზე ცნობილი ფლავონოიდი, რომელიც დადებითად მოქმედებს სისხლძარღვებზე - არის რუტინი (ვიტამინი P). თუმცა, როგორც კვლევებმა აჩვენა, რუტინის ანალოგიური თვისებები ახასიათებს ათასზე მეტ ფლავონოიდს. ისინი უხვადაა ისეთ პროდუქტებში, როგორცაა მწვანე ჩაი, კაკაო, კომში, ვაშლი, ატამი, მარწყვი, მოცხარი, ჟოლო და სხვა. დამტკიცებულია, რომ ფლავონოიდებს, რომლებსაც შეიცავს ყურძნის, წითელი ვაშლის, ბროწეულის, ციტრუსის კანი, ალუბალი, ბადრიჯანი, წითელი კომბოსტო, მსგავსი პროდუქტები და ხილი, რომლებიც შეფერილია იისფრად, აქვთ ანტიოქსიდანტური მოქმედება (*დიასამიძე, 2014:12*).

კუმარინებიც მიკუთვნება ფენოლურ ჯგუფს, ახასიათებთ მრავალმხრივი ფარმაკოლოგიური მოქმედება. ფართოდ არიან გავრცელებული მცენარეთა სამყაროში. ახასიათებთ ფარმაკოლოგიური მოქმედების ფართო სპექტრი, მათ შორის მთავარია ფოტოსენსიბილიზაციური, მკურნალობენ ვიტილიგოს და ახასიათებთ P-ვიტამინური აქტივობა. ასევე, აქვთ ანტიმიკრობული, ნალველმდენი, შარდმდენი, ანტიკოაგულანტური, სიცხის დამწევი, სპაზმოლიზური, სიმსივნის საწინააღმდეგო და ანტილეიკოდერმული მოქმედება, აქვთ სისხლდენის შემაჩერებელი უნარი.

ფუროკუმარინების ბაზაზე შექმნილია ლეიკოდერმის სამკურნალო პრეპარატები (Lake, 1999:83). ამ შენაერთებით განსაკუთრებით მდიდარი ოჯახებია: *Apiaceae*, *Rutaceae*, *Saxifragaceae*, *Solanaceae*, *Hyppocastanaceae*, *Cuttiferae*, *Asteraceae*, *Orchidaceae*. გარდა სამკურნალო თვისებებისა, მათი შემცველი ზოგიერთი მცენარე გამოიყენება საკვებად, ასევე, სუნამოებისა და პარფიუმერიულ მრეწველობაში. დამახასიათებელია ტოქსიკურობაც. ექსპერიმენტის შედეგად შესწავლილია მათი ტოქსიკურობა და კანცეროგენულ თვისებები ღვიძლისა და ფილტვის უჯრედებისთვის (Miralpeix, 2013:94).

კვლევებით დადასტურებულია ფუროკუმარინის 7H-ფურო[3,2-g][1] ბენზოპირან-7-ერთი,4,5,6-ტრიმეთოქსის დამთრგუნველი მოქმედება ბაქტერიებზე, ვირუსებზე, სიმსივნეებზე. ასევე გამოიყენება ფოტომგრძნობიარე (ფოტოსენსიტიური) მედიკამენტებისა და პესტიციდების წარმოებაში (Tek., 2006:131; Sarker, 2004:123). *Angelica decursiva*-დან მიღებული კუმარინების ალკაიმერის დაავადების საწინააღმდეგო მოქმედებაა დადასტურებული და ა.შ.

მეორადი მეტაბოლიტების მნიშვნელოვანი ჯგუფია ალკალოიდები. ისინი მცენარეული წარმოშობის ჰეტეროციკლური ნაერთებია, რომლებიც მოლეკულაში შეიცავენ აზოტის ერთ ან რამდენიმე ატომს. დიდი დოზებით შხამებს წარმოადგენენ, მცირე დოზებით კი სამკურნალო საშუალებებს. მათი შესწავლა დაიწყო 1805 წელს პირველი ალკალოიდის, მორფინის - *P. Somniferum*, აღმოჩენით. მცენარეები ალკალოიდებს აწარმოებენ მცირე რაოდენობით, მშრალი წონის 1%-ზე ნაკლებს და ეს ითვლება ალკალოიდების მდიდარ შემცველობად. მათი წარმოება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გარემო ფაქტორებზე, მცენარეთა განვითარების ფენოლოგიურ ფაზებზე.

მნიშვნელოვანი კვლევებია ჩატარებული ნეიროდეგენერაციული დაავადებების, ალცაიმერისა და პარკინსონის წინააღმდეგ. *Huperzia selago*-დან და *Diphasiastrum complanatum*-დან მიღებული ალკალოიდების ფრაქცია შეჰყავდათ ნეიროენდოკრინულ სიმსივნურ უჯრედებში PC-12 დაავადების დროს, რომელიც განპირობებულია თირკმელზედა ჯირკვლის ან მის გარეთ ლოკალიზებული

ქრომაფილური ქსოვილის კეთილთვისებიანი ან ავთვისებიანი სიმსივნეებით (Lenkiewicz...2016:92).

შესწავლილია იზოქინოლინის ჯგუფის 46 ალკალოიდი, რომელიც ციტოტოქსიკურად მოქმედებს სიმსივნური უჯრედების ორ ხაზზე (*Caco-2* and *Hep-G2* სიმსივნურ უჯრედებზე), ასევე, შესწავლილია ადამიანის ნორმალურ ფილტვის ფიბრობლასტის უჯრედებზე სკოლერინის, არმოლინის, ბერბამინის და პარფიუმინის მოქმედება. ამერიკელი მკვლევარების მიერ, ბოსტნეული კულტურის, მწვანე ლობიოდან მიღებულია ორი ახალი ინდოლის ჯგუფის ალკალოიდი: იზოგინსენინი და გინსენინიდი, რომელიც დამთრგუნველად მოქმედებს *CCK-8* ლიმფოციტებზე. იზოინდოლინის ალკალოიდები გამოყოფილია სხვადასხვა მცენარეთა სახეობებიდან და წარმოადგენს ახალი სიმსივნური პრეპარატების დამზადების საფუძველს (Wang...2016:141,142,144).

თანამედროვე ინსტრუმენტული მეთოდები აადვილებს მედიცინისთვის საინტერესო ახალი ალკალოიდების გამოვლენას. ალკალოიდების შემცველობით გამორჩეულია შემდეგი ოჯახები: *Leguminosae*, *Papaveraceae*, *Menispermaceae*, *Loganiaceae* და სხვა (Lu...2012:84). გარდა ამისა, რამდენიმე ალკალოიდი ამჟღავნებს მნიშვნელოვან ბიოლოგიურ აქტიურობას: ეფედრინი ასთმის საწინააღმდეგო; მორფინი ტკივილგამაყუჩებელი; ვინბლასტინი ანტისიმსივნური და სხვა. ფაქტია, რომ ალკალოიდები მნიშვნელოვანი მოქმედების ნატურალური მცენარეული შენაერთებია. რამდენიმე მათგანს აქვს ქიმიოთერაპიული აქტიურობა, მაგალითად, კამპტოტეცინი (*CPT*), ცნობილი ტოპოიზომერაზას I (ტოპ I) ინჰიბიტორია და ვინბლასტინი, რომელიც ურთიერთქმედებს ცილა ტუბულინთან, აფერხებს მიტოზის პროცესს (Shao...2008:118). ფსიქოტროპული მოქმედებით გამოირჩევა ოპიუმი, პაპავერინი, მორფინი, კოკაინი, ასევე, მნიშვნელოვანია ბერბერინის, ევოდიამინის, მატრინის, პიპერინის, სანგვინარინის გამოყენება მაღალეფექტური პრეპარატების დასამზადებლად, ასევე, ვინკამიცილი რომელიც ხელს უწყობს სისხლის ცირკულაციას თავის ტვინში. ნატურალური ალკალოიდშემცველი სამკურნალო ექსტრაქტების მოქმედებით ჩატარებულია *in vivo*, სკრინინგი *P3-88* და *L1-210* ვირთხების

ლიმფოციტური ლეიკემიის უჯრედებზე, აგრეთვე, მაღალი ციტოტოქსიკურობით გამოირჩევა ვინკას ალკალოიდები (*Meos...*2017: 96; *Li...*2017:88, *Viret...*2017:137).

კანადაში, დასავლეთ ონტარიოს უნივერსიტეტის მკვლევარები დააკვირდნენ ლეიკოციტოპენიით დესტრუქციულ ვირთხებს, ძვლის ტვინში შეყავდათ *Catharanthus roseus* (L.) G. Don (*Apocynaceae*)-ის ექსტრაქტი. ალკალოიდები აჩერებდა ტუბულინის სინთეზს და ბლოკავდა მიტოზის პროცესს მეტაფაზის სტადიაზე. ამჟამად ვინკრისტინის სულფატს, იყენებენ ლიმფობლასტური ლეიკემიის სამკურნალოდ და ლიმფომის კომბინირებულ ქიმიოთერაპიაში, ვინბლასტინის სულფატი გამოიყენება ჰოჯკინის ლიმფომის, შარდის ბუშტისა და სარძევე ჯირკვლების სამკურნალოდ (*Newman...*2007:104).

მნიშვნელოვანია ქართველ მეცნიერთა კვლევები (*Meskheli...*2011:100). საქართველოში გავრცელებული მცენარეებიდან გამოყოფილია 50-მდე ცნობილი და 8 ახალი ალკალოიდი, ნაჩვენებია, რომ მცენარეები: *Galanthus Caucasicus*, *Magnolia Obovata*, *Magnolia Grandiflora*, *Coculus Laurifolius*, *Veratrum Lobelianum* და სხვა, წარმოადგენენ ნედლეულს ისეთი ალკალოიდების მისაღებად, როგორცაა: გალანტამინი, ლიქორინი, გალანტინი, ლირიოდენინი, კოკულინი, კოკლაურინი. საქართველოს ენდემური მცენარიდან კოლხური ბზიდან, *Buxus Colchicia* *Pojark.*, გამოყოფილია 8 სტეროიდული ალკალოიდი, აქედან, 2 ახალია, დადგენილია სტრუქტურული ფორმულები.

ინდოლ-3-კარბინოლი ჯანდაცვის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ განხილულია როგორც მკერდის სიმსივნის პრევენციის მიმართულებით სიმსივნის შესაძლო პრევენციული აგენტი. *in vitro* კვლევებმა აჩვენეს რომ ინდოლ-3-კარბინოლთან მიმართებაში მრავალი წელია მიმდინარეობს სარძევე ჯირკვლის კეთილთვისებიანი დისპლაზიის სამკურნალო პრეპარატების ძიება. შემუშავებული იქნა ინდოლ-3-კარბინოლის (I3-C) შემცველი საკვები დანამატები, აღწერილია ამ დანამატების მაღალი ეფექტურობა სარძევე ჯირკვლის კეთილთვისებიანი დისპლაზიის კომბინირებული მკურნალობის დროს. ინდოლ-3-კარბინოლი არის ნივთიერება, რომელიც ნაპოვნი იქნა ისეთ ბოსტნეულში, როგორცაა ბროკოლი, ბრიუსელის კომბოსტო, ყვავილოვანი კომბოსტო, პირშუმხა,

ხუჭუჭა კომბოსტო, თაღამი, თაღამურა. იგი ასევე შეიძლება წარმოებული იყოს ლაბორატორიაში. ახდენს უჯრედის პროლიფერაციის ინჰიბირებას, უჯრედული ციკლის ბლოკირებას *G1* ფაზაში და აპოპტოზის ინდუქციას. ზუსტი მოლეკულური მექანიზმები, რომლითაც ინდოლი ავლენს სიმსივნის სუპრესორულ ეფექტს, ჯერ კიდევ არ არის ნათელი. ცნობილია რომ ინდოლი ცვლის ესტროგენის მეტაბოლიზმს. გენური ექსპრესიის გამოხატვა და სხვა კვლევები ცხადყოფს, რომ ინდოლი არეგულირებს მრავალ გენს, რომლებიც მნიშვნელოვანია უჯრედული ციკლის, უჯრედების პროლიფერაციის, აპოპტოზის, სიგნალის ტრანსდუქციის, ანგიოგენეზის და უჯრედის ინვაზიის კონტროლისთვის (*ჩადუნელი, 2015:29*).

აჭარის ველური ფლორა ზოგადად, სამკურნალო მცენარეთა 140-მდე სახეობას ითვლის. ტერიტორიულად ყველაზე მრავალფეროვანია მტირალას ეროვნული პარკი და მაჭახელას ეროვნული პარკი. მაღალი მრავალფეროვნებით გამორჩეული ოჯახებია: *Asteraceae, Lamiaceae, Rosaceae, Hypericaceae, Polypodiaceae, Scrophulariaceae, Fabaceae, Fagaceae, Solanaceae, Polygonaceae*. ამ ოჯახების წარმომადგენლებია კავკასიისა და საქართველოს ენდემური სახეობები, რომლებიც გამოყენებულია ოფიცინალურ მედიცინაში: *Atropa caucasica Kreyer, Berberis iberica Stev. & Fisch. ex DC., Betonica abchastica (Bornm.) Chinth., Dioscorea caucasica Lipsky, Colchicum speciosum Stev, Convallaria transcaucasica Utkin ex Grossh., Gymnospermium smirnowii Trautv.) Takht., Galanthus krasnovii A. Khokhr., G. woronowii Losinsk., G. lagodechianus Kem.-Nath., G. platyphyllus Traub & Moldenke, Helleborus abchasicus A. Br., H. causicus A. Br., Helichrysum polyphyllum Ledeb., Paeonia caucasica (Schipcz.) Schipcz. P. carthalinica Ketzch, Pimpinella aromatica Bieb., P. schatilensis Otschiauri, P. idea Takht., Pyrethrum carneum Bieb., Rubia transcaucasica Grossh., Salvia garedji Troitzk., Satureja bzybica Woronow, Senecio rhombifolius (Adams) Sch. Bip. , S. platyphylloides Somm. & Levier, Symphytum causicum Bieb. S. grandiflorum DC., Taraxacum praticola Schschk , T. confusum Schschk ,Thymus ladjanuricus Kem.-Nath., T. causicus Willd. ex Ronn., Valeriana tiliifolia Troitzk., V. colchica Utkin.etc. და სხვა. თუმცა, საგანგაშოა, რომ ყოველწლიურად მათი ჭარბი მოპოვება ადგილობრივი თუ უცხო ფირმების მიერ, იწვევს სახეობების შემცირებას ან მთლიანად განადგურებას (*Bidzinashvili, 2017:41*). მნიშვნელოვანია ქართველ მეცნიერთა შრომები, რომლებიც ეძღვნება საქართველოს ფლორის არაერთი სახეობას: *Astragalus galegiformis L., Astragalus falcatus Lam., Astragalus tanae Sosn., Astragalus borissovae**

Grossh., Astragalus microcephalus Willd., Akebia quinata Decne., Bupleurum exaltatum M. Bieb., Hedysarum caucasicum Bieb., Koelreuteria paniculata Laxm., Melilotus officinalis (L.) Pall., Onobrychis angustifolia Chinth., Phellodendron lavalleyi Dode., Pueraria hirsuta Matsum., Rhododendron ungueri Trautv., Satureja hortensis L., Trifolium hybridum L., Trifolium trichocephalum Bieb., Trifolium arvense L. Verbascum laxum Filar. et Jav. და სხვა. ეს სახეობები მდიდარია ფლავონოიდების და ფენოლური მჟავების, ტანიინების, ციკლოარტანის, ირიდოიდების და სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობით. მათგან სუფთა სახით მიღებული ნივთიერებების მოქმედებით ნაჩვენებია მაღალი ანტიოქსიდანტური, დიურეტიკული, ჰიპოაზოტემიური, ლეიკოპეტური, სპაზმოლიტური, გონადოტროპული, ჰიპოგლიკემიური, კარდიოპროტექტორული, ჰეპატოპროტექტორული, გასტროპროტექტორული და სხვა მოქმედება. მიღებულია არაერთი სამკურნალო საშუალება: "Flaronin" (ჰიპოაზოტემური ტაბლეტები), "Rodopes" (ჰერპესის ვირუსის საწინააღმდეგო მალამო), "Saturin" (ჰიპოგლიკემური კაფსულები), "Ginkgo-bathi" (ანტიარითმიული ნაყენი) და სხვა მრავალი (Alaniya...2017:37).

თავი III

აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეების გავრცელების არეალის ნიადაგურ-კლიმატური პირობების ზოგადი დახასიათება

საქართველოს უკიდურესად მრავალფეროვანი ბუნება და კლიმატი აქვს, რომელიც მისი ჰაბიტატების მრავალფეროვნებას განაპირობებს და მოიცავს ტერიტორიას ზღვის დონიდან ალპურ მცენარეულობამდე, მყინვარების დონემდე სუბნივალურ სარტყელში. თბილი, ტენიანი კლიმატი კოლხეთის დაბლობში, შავი ზღვიდან, აღმოსავლეთ საქართველოს მშრალ, კონტინენტურ კლიმატში გადადის, რომელიც ტყის სხვადასხვა სახის ჰაბიტატებით, სტეპებით და ნახევარ უდაბნოებითაა დაფარული (გროსჰეიმი, 1928). გარემო პირობებისადმი მცენარის ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას სითბოსა და სინათლის წლიური რეჟიმი წარმოადგენს, რომელზეც ძირითადად დამოკიდებულია რიტმოლოგიურ პროცესთა სეზონური განვითარება. გეოგრაფიული იზოლაციით გამოწვეული ვიწრო ლოკალური ენდემური სახეობების გავრცელებაზე, როგორც სხვა მცენარეულ სახეობებზე, გავლენას ახდენს კლიმატური ფაქტორები. ენდემურ მცენარეულ სახეობებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შემდეგი კლიმატური პარამეტრები: ჰაერის ტემპერატურა, ნალექების რაოდენობა და მათი სეზონური განაწილება, ყინვიან დღეთა რიცხვი, ფარდობითი ტენიანობა, მათზე ბევრად არის დამოკიდებული სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა. მიუხედავად არცთუ ისე დიდი ტერიტორიისა, აჭარის ბუნება გამოირჩევა განსაკუთრებული თავისებურებებითა და მრავალფეროვნებით. შავ ზღვასთან უშუალო მეზობლობამ, დაბლობების, ხეობების და მაღალი მთების მონაცვლეობამ რეგიონში წარმოშვა საკმაოდ განსხვავებული კლიმატური ზონები, რომლებიც ხასიათდება ზომიერად ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი თბილი-გრილი ზაფხულით.

აჭარის სანაპირო ზონაში საშუალო წლიური ტემპერატურა (13-14.5°C) შეადგენს, ყველაზე თბილი ადგილი ბათუმია, 14.5°C-საშუალო წლიური ტემპერატურით. ყველაზე ცივი გოდერძის უღელტეხილია (2.40°C). სიმაღლის მატებასთან ერთად ტემპერატურა კლებულობს. ჰაერის ფარდობითი ტენიანობა ყველგან მაღა-

ლია და 70-90%-ის ფარგლებში მერყეობს. იგი ყველაზე მაღალია გოდერძის უღელტეხილზე - საშუალოდ 88%. ნალექების სიუხვის მიხედვით აჭარა საქართველოს რეგიონებს შორის პირველ ადგილზეა. ნალექთა საშუალო წლიური რაოდენობა აქ 1400-1500 მმ-ია. მათი წლიური ჯამი სანაპირო ზონაში 2400-2700 მმ. მთიან ნაწილში კი წლიური ჯამი 2000-2500 მმ. აღწევს (აჭარის... 2013:1).

აჭარა, გამომდინარე მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებიდან (კლიმატი, რელიეფი, მცენარეულობა, ნიადაგები), როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხასიათდება საკმაოდ მაღალი ბიომრავალფეროვნებით. აღნიშნული ტერიტორია ყოველთვის განიცდიდა და ახლაც თითქმის ყველა ბუნებრივ ზონაში განიცდის მძიმე ანთროპოგენურ დატვირთვას. უნდა აღინიშნოს, რომ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება ნიადაგური მრავალფეროვნების შენარჩუნების გარეშე შეუძლებელია.

აჭარაში ვერტიკალური ზონალობის შესაბამისად, განვითარებულია შემდეგი ტიპის ნიადაგები: ეწერ-ლებიანი, ლამიან-ჭაობიანი, წითელმიწა, წითელმიწა გაეწერებული, ყვითელ-ყომრალი, ყომრალი მჟავე, ყომრალი გაეწერებული, მთამდელის კორდიანი, აგრეთვე აზონალური-ალუვიური მჟავე და ალუვიური ნიადაგები (*გოგიჩაიშვილი...2009:13*).

პროცენტულად ენდემური სახეობების უმეტესი ნაწილი - 28% პეტროფილურ ფლორისტულ კომპლექსებთანაა დაკავშირებული, რომელიც გვხვდება ყველა ლანდშაფტურ ერთეულსა და ვერტიკალურ სარტყელში. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ვარაუდს იმის შესახებ, რომ კლდეები, ნაშალები და სხვადასხვა ლითოლოგიური სტაცია ენდემური ბიომრავალფეროვნების ჩამოყალიბების ერთ-ერთი ასპარეზია.

აჭარის მთა-ტყის ზონაში ფართოდაა გავრცელებული ყომრალი ნიადაგების სხვადასხვა ვარიანტი. აჭარაში ყომრალი ნიადაგები სიმძლავრის, ქიმიური და მექანიკური შემადგენლობისა და სხვა მახასიათებლების დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. ფერდობების ძლიერი დანაწევრება, არაერთგვარი ლითოლოგიური შემადგენლობა და ვერტიკალური ზონალობა, რასაც უკავშირდება აგრეთვე მცენარეული საფარი, დიდ გავლენას ახდენს ნიადაგზე. ამასთან დაკავშირებით გვხვდება: ყვითელმიწა ყომრალი, მუქი ყომრალი და ღია ყომრალი ნიადაგები. მთა-

ტყის ნიადაგების ზონა მდებარეობს 400-600 მ. სიმალიდან 1900-2000 მ. სიმაღლემდე ზღვის დონიდან. ამ ზონის ქვედა ნაწილში გვხვდება წითელმიწა ნიადაგებში გარდამავალი ყვითელმიწა-ყომრალი ნიადაგები, ხოლო ზედა ნაწილში კი მთა-მდელოს ნიადაგებში გარდამავალი ღია ყომრალი ნიადაგები. აჭარის ყომრალი ნიადაგებისთვის დამახასიათებელია კარგად გამოხატული ჰუმუსური ჰორიზონტი, ჰუმუსისა და აზოტის მაღალი შემცველობა ზედა ფენებში. მთა-ტყის ნიადაგების ზემოთ გავრცელებულია მთა-მდელოს ნიადაგების ზონა, რომელიც მოიცავს სუბალპური და ალპური მდელოების ზონას 1900-2000 მ-დან 2000-3000 მ. სიმაღლემდე შორის. აქ გამოირჩევა მეორად მდელოთა ნიადაგი სუსტი გაკორდებითა და პირველად მდელოთა კორდიანი ნიადაგები. დეკიანში მეტი გავრცელება აქვს ტორფიან ნიადაგებს. მოსწორებული ადგილები დაფარულია ღრმა და ჰუმუსით მდიდარი კორდიან-ტორფიანი ნიადაგით. მთა-მდელოს ნიადაგებისათვის დამახასიათებელია მცირე სისქე, ძლიერი ხირხატიანობა და ორგანული ნივთიერებების დაგროვება დიდი რაოდენობით ფესვთა ნარჩენებისა და ტორფისმაგვარი მასის სახით. სქელი ბალახეული საფარი ხელს უწყობს ამ მასის შექმნას. მაღალბალახეულობის ქვეშ კორდის განვითარება ნაკლებია. სუბალპურ ზონაში ნიადაგის სისქე 40-60 სმ. აღწევს, ხოლო ალპურში 30-40 სმ. ან უფრო ნაკლებია. კორდიან-ტორფიანი ნიადაგები კიდევ უფრო ნაკლები სისქით ხასიათდებიან. ზღვის დონიდან 2300-2350 მ. ზევით ნიადაგი მცირე სისქისაა, პრიმიტიული. ხშირად გვხვდება ქვა-ლორლიანი მონაკვეთები და ნიადაგ-საფარს მოკლებული გამიშვლებული დედაქანები (*ხარაზიშვილი, 2006:27*).

ექსპერიმენტული ნაწილი

თავი IV

კვლევის ობიექტები და მეთოდები

3.1 კვლევის ობიექტები:

აჭარის ენდემური მცენარეული სახეობები:

1. *Angelica adzharica* M.Pop. – *Umbelliferae* Juss., *Apiaceae* Lindl.
2. *Centaurea adzharica* Sosn. – *Asteraceae* Dumort. (*Compositae* Giseke)
3. *Erysimum contractum* Somm. et Levier. - *Cruciferae* Juss.(=*Brassicaceae* Burnett.)
4. *Psoralea acaulis* var.adzharica - *Fabaceae* Lindl.
5. *Ranunculus ampelophylus* var.adzharica - *Ranunculaceae* Juss.
6. *Rubus adzharicus* Sanadze - *Rosaceae* Juss. .

აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეული სახეობები:

1. *Amaracus rotundifolius*(Boiss.)Briq. (= *Origanum rotundifolium*) - *Lamiaceae* Juss(=*Labiaceae*)
2. *Astragalus adzharicus* M.Pop. - *Fabaceae* Lindl.
3. *Astragalus sommieri* Freyn. - *Fabaceae* Lindl.
4. *Hypericum nordmanni* Khokhr. - *Hypericaceae* Juss.
5. *Hypericum ptarmicifolium* var.adzharicum - *Hypericaceae* Juss.
6. *Linaria adzharica* Kem.-Nath.(=*L.sypirensis* C. Koch.) - *Scrophulariaceae* Juss.
7. *Osmanthus decorus* (Boiss. et Bal.) - *Oleaceae* Hoffm. et Link.
8. *Primula megasaefolia* boiss. Et Bal. - *Primulaceae* Vent. 9
9. *Quercus petra* var. dshorochensis c. Koch. - *Fabaceae* Lindl.
10. *Rhododendron smirnovii* Trautv.- *Ericaceae* DC.
11. *Rhododendron ungerii* Trautv. – *Ericaceae* DC.
12. *Rhynchospora caucasica* Vahl. - *Cyperaceae* Juss.
13. *Scrophularia chloranta* Ky et Boiss. - *Scrophulariaceae* Juss.
14. *Scutellaria pontica* C. Koch. - *Labiatae* L.
15. *Seseli foliosum* (Somm. et Lev.) Mand. - *Umbelliferae* Juss., *Apiaceae*.

აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეებიდან *Cyclamen adzharicum* Pobed.(=C., *Galanthus krasnovii* Khokhr. (*Amaryllidaceae* Juss.), *Galanthus rizechensis* Stern.

(= *G. cilicicus* Baker., *G. glaucescens* Khokhr.) კვლევაში არ ჩაგვირთავს, რადგან ვთვლით, რომ ისინი სრულყოფილად არის შესწავლილი როგორც ბოტანიკური, ისე ფარმაცოლოგიური თვალსაზრისით.

3.2. კვლევის მეთოდები:

კვლევის ობიექტების ექსპერიმენტული და საჰერბარიუმე მასალა დამუშავდა *Скворцов* (1977)-ის მეთოდის მიხედვით; მცენარეების ტაქსონომიური და ნომენკლატურული ანალიზი განხორციელდა „აჭარის მცენარეულობის სარკვევით“ (*Дмитриева*, 1959, 1990 a, б), „საქართველოს მცენარეთა სარკვევის“, „საქართველოს ფლორის“, „საქართველოს ფლორის კონსპექტი-ნომენკლატურული ნუსხის“ (გაგნიძე, 2005), ჩერეპანოვის ნომენკლატურული ცნობარის (*Черепанов*, 1995) დახმარებით; აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეთა ზრდა-განვითარების თავისებურებების აღწერისას ვისარგებლეთ სახელმძღვანელოთი „აჭარის ადვენტური ფლორის ბიომორფოლოგიური ანალიზი“ (დავითაძე მ., 2002) და სერებრიაკოვის მეთოდით (*Серебряков*, 1975).

აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეების სკრინინგი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობაზე განვახორციელეთ თვისებითი რეაქციებითა და თხელფენოვანი ქრომატოგრაფიით (*H. Wagner, S. Bladt*, 2nd edition, 2003; *Pharmacopoeial*, 2013; *Vachnadze*, 2012). ნედლეულის სახით საანალიზო მასალა აღებული იქნა 2014-2015 წლებში, ადრე გაზაფხულისა და გვიანი ზაფხულის პერიოდებში, როდესაც მცენარეები იმყოფებიან აქტიური ზრდა-განვითარებისა და ყვავილობის ფაზაში.

საანალიზოდ აღებული ნაწილები გამოვაშრეთ, მიღებული ნიმუშები დავაწვრილმანეთ სახელმწიფო ფარმაცოპეის მოთხოვნების შესაბამისად.

აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემურ მცენარეებში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების იდენტიფიცირების მიზნით კვლევა ჩავატარეთ აგრეთვე ქრომატო-მასსპექტომეტრიის *GC/MS* მეთოდით, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის ლაბორატორიაში (საქართველო). ხელსაწყო: *Agilent Technologies 7000 GC/MS Triple*

Quad; სვეტი - *Elite 5-MS*; $30m \times 250 \mu m \times 0.25 \mu m$; ღუმელის ტემპერატურა: $60^{\circ}C-310^{\circ}C$ (რეჟიმი პროგრამული); ინჟექტორის ტემპერატურა $-250^{\circ}C$; ტრანსფერლაინის ტემპერატურა- $310^{\circ}C$; აირმატარებელი - ჰელიუმი 1მლ/წთ; იონიზაციის წყარო *El-70 ev*; სკანირების რეჟიმი *TIC* (სრული იონების მონიტორინგი). საანალიზო ობიექტებში სამიზნე ნივთიერების გამოვლენის მიზნით, ქრომატოგრამებზე არსებული პიკების მასსპექტრები შედარებული იქნა მონაცემთა ბაზაში (*NIST*) არსებული ნივთიერებების მასსპექტრებთან.

in vitro ცდაში სიმსივნურ უჯრედებზე მოქმედების შესწავლის მიზნით აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მაღალი შემცველობით გამორჩეული მცენარეებიდან მომზადებული იქნა წყლიანი და მეთანოლიანი ექსტრაქტები. მიღებული იქნა აგრეთვე საგულე გლიკოზიდებით გამდიდრებული ფრაქცია და მეთანოლიანი მშრალი ექსტრაქტის შემცველი ლიპოსომური ნანონაწილაკები.

ლიპოსომური ნანონაწილაკები მომზადდა გამხსნელის - ამოორთქლების მეთოდით, გამოხატული ციტოტოქსიკური მოქმედების *Erysimum contractum*-ის მეთანოლიანი გამონაწვლილიდან მიღებული მშრალი ექსტრაქტიდან. ლიპოსომური ნანონაწილაკების მოსამზადებლად გამოყენებული იყო სხვადასხვა ბუნების გამხსნელები, პოლიმერი, სურფაქტანტი და უჯრედის მემბრანის მსგავსი ბუნების ნივთიერება - ლეციტინი. მომზადდა: 1) ქლოროფორმიანი ფაზა - შემადგენლობით: ალკალოიდების ჯამი 0,1გ; ქლოროფორმი 0.25 მლ; პოლივინილოპიროლიდინი 0,5 გ; ლეციტინი 0,25 გ; 2) წყლიანი ფაზა - შემადგენლობით: 0,50 გამოხდილი წყალი; 0,5 - პოლივინილის სპირტი. ქლოროფორმიანი და წყლიანი ფაზა შევურიეთ ერთმანეთს 24 საათის განმავლობაში მაგნიტურ შემრევზე. მივიღეთ რძისებრი ბლანტი სითხე. მიღებული სითხიდან ამოვართქლეთ ქლოროფორმი და მიღებული მასა დავამუშავეთ ულტრასონიკატორით. შემდეგ განვსაზღვრეთ ნანონაწილაკების ზომები ძეტასაიზერითა და ელექტრონული სკანერული მიკროსკოპით. მომზადებული ლიპოსომური ნანონაწილაკების ზომები მერყეობს 130-დან 230 ნმ-ის ფარგლებში.

ციტოტოქსიკური მოქმედების ალკალოიდების ჯამების შემცველი ლიპოსომური ნანონაწილაკების კვლევა სელექციურ ციტოტოქსიკურ აქტიურობაზე ჩატარდა *in vitro* ცდაში: 1. კანადაში, კვებეკის უნივერსიტეტში ქ.შიკუტუმში, *Resazurine*-ის და *Hoechst*-ის მეთოდებით; 2. ბელორუსიაში, მინსკის სახელმწიფო უნივერსიტეტში მკერდის სიმსივნურ უჯრედებზე *MCF -7* (მკერდის ადენოკარცინომა) და კანის კერატინოციტებზე *HaCaT*. სურათების გადაღება ხდებოდა ფლოორესცენტული ციფრული კამერით აღჭურვილი მიკროსკოპით *Axiocvert 25* (ცეის, გერმანია).

შედეგების სტატისტიკური დამუშავება ხორციელდებოდა სტანდარტული კომპიუტერული პროგრამის «*Excel*» გამოყენებით. სტატისტიკური მონაცემები წარმოდგენილია $M \pm SD$ სახით, სადაც M – საშუალო არითმეტიკულია, SD – სტანდარტული გადახრა.

თავი V

აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეული სახეობების გავრცელების არელების დაზუსტება

აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემების გავრცელების არელების დაზუსტების, საჭერბარიუმე და საექსპერიმენტო მასალის მოპოვების, ბოტანიკური აღწერისა და ზრდა-განვითარების თავისებურებებზე დაკვირვების მიზნით, ხორციელდებოდა ექსპედიციები აჭარის ზღვისპირეთიდან დაწყებული მაღალმთის ჩათვლით, ვერტიკალური სარტყლიანობის მიხედვით. საველე კვლევები განხორციელდა ტრადიციული მარშრუტული, ექსპედიცია - ექსკურსიების მეთოდით. ვაგროვებით საჭერბარიუმე და საექსპერიმენტო მასალას, ვახდენდით მათ კამერალურ დამუშავებას. ექსპედიციების განხორციელებაში და მასალების დამუშავებაში პროფესიული დახმარება გაგვიწიეს მეცნიერებმა ადგილობრივი ფლორის დარგში - ნ.მემიამემ, ნ.ვარშანიძემ, ზ. მანველიძემ. სახეობებზე მომზადდა მდიდარი ფოტომასალა. თითოეული სახეობისთვის დადგინდა *GPS* კოორდინატები. ფენოლოგიური ფაზებზე დაკვირვებების მიხედვით მომზადდა თითოეული მათგანის ბოტანიკური აღწერილობა.

ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის „წითელი ნუსხის“ (*Red List IUCN*) მიხედვით გავარკვეეთ სახეობის დაცულობის გლობალური სტატუსი, პარალელურად მოვიძიეთ, თუ რა პასუხისმგებლობა ეკისრება ორ ქვეყანას, საქართველოსა და თურქეთს, ტრანსსასაზღვრო გავრცელების აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ზოგიერთი ენდემური მცენარეული სახეობის დაცვის მიზნით, მათი გლობალური მასშტაბით შენარჩუნების უზრუნველყოფად (vh - ძალიან მაღალი; h- მაღალი; m- საშუალო; L-დაბალი).

აჭარის ენდემური სახეობები ძირითადად გავრცელებულია შერეული ფოთლოვანი ტყის, ფართოფოთლოვანი ტყის, კლდეებისა და ნაშალლორდიანების, სუბალპური მდელოების, მაღალბალახეულობის, სუბალპური ტყე-მდელოს, ზღვისპირა ჭაობებისა და გუბურების ბიოტოპებში.

აჭარისა და აჭარა - ლაზეთის ენდემების გავრცელების „სიმძიმის ცენტრი“ მდ. აჭარისწყლის ხეობაზე - ფართოფოთლოვანი ტყის სარტყელზე მოდის. კოლხეთის, საქართველოსა და კავკასიის ენდემების უმეტესობა აჭარა - იმერეთის, არსიანისა და შავშეთის ქედების მაღალმთის რაიონში აღინიშნება, ვინაიდან მათი წარმოშობის ცენტრი მაღალმთის ეკოსისტემებია და მათი არსებობისთვის ყველაზე ოპტიმალური პირობები სწორედ სუბალპურ სარტყელშია, ხოლო აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემების წარმოშობის ცენტრი მდ. აჭარისწყლის ხეობაა (*მემიადე* ., 2005:20).

Angelica adzharica M. Pimen. IUCN სტატუსი: CR (vh). გავრცელება: სუბალპური ზონა. არსიანის ქედი, გოდერძის უღელტეხილი, დანისპარაული, ღორჯომი, გვხვდება გზისპირებსა და ტყისპირებზე. ა. დმიტრიევას დაკვირვებით, ვეგეტაციური განახლების ტიპით განსხვავებული არიან, გზების გასწვრივ მოზარდები უფრო მრავალრიცხოვანი და მასიურებია, ვიდრე ლოდიან-ღორდიან ადგილებში. N41° 71' 969'' E 042° 18' 118'' , H 1800.

Centaurea adzharica alb.(=c.dmitriewiae D.sosn.) IUCN სტატუსი: CR (vh). გავრცელება: აჭარისწყლის ხეობა, ფიჭვნარ - მუხნარ ტყეებთან მიმდებარე მშრალ კლდეებზე, სოფ. მახუნცეთის, ქედის, შუახევის, ზამლეთის, ვაშლოვანის, ხულო-ვაშლოვანის მიდამოები. ჩვენს მიერ დაფიქსირებული კორდინატები - N41°37'716'', E 041°17'812'', H 739მ .TLC-

Eryzimum contractum Somm.et Lev. IUCN სტატუსი: EN (h). გავრცელება: აჭარისწყლის ხეობა, ქედა, შუახევი, ხულო. ჩვენს მიერ დაფიქსირებული კორდინატები - N41°37'755 E 042°12'624''/H464 მ TLC+

Psoralea acaulis Stev. var. adzharica. IUCN სტატუსი: CR (vh). გავრცელება: ზღვისპირა ტერასებიდან სუბალპურ ზონამდე, უმეტესად შუა სარტყელში, მშრალ ფერდობებზე, კლდეებზე, ბუჩქნარებში. ზოგჯერ გზების გასწვრივ და პლანტაციებში; ქობულეთი, კოხი, ქედა, ხულო, ჭვანა, დანისპარაული, მთა სარბიელა ზ.დ. ჩვენს მიერ დაფიქსირებული კორდინატები – 2400 მ. N41°71'969'', E 042°18'118'', H 1800მ. TLC +

Ranunculus ampellophylus Somm. et Lev. (= *R.capadocicus* Wild.). IUCN სტატუსი: CR (vh). გავრცელება: ზღვისპირა გორაკებიდან დაწყებული (სარფი, ციხისძირი,

მტირალა) მთელი ტყის სარტყელი ზღვის დონიდან 2200 მ-მდე. დამახასიათებელია წიფლნარებისთვის, ნაძვნარ-სოჭნარი ტყეებისთვის. სარფი, ციხისძირი, მტირალა. TU07⁰19⁴26⁰⁰′, UTM 46⁰132⁹7⁰⁰′ H 130

Rubus adzharicus Sanadze. IUCN სტატუსი: CR (h). გავრცელება: ზღვისპირა ტერასებიდან სუბალპებამდე, ფერდობებზე, ტყის კლდოვან ადგილებზე, სხვა სახეობის მაცვლიანებთან ერთად. N40⁰30⁵77⁰⁰′, E 040⁰12⁶9⁰⁰′, H 80 მ. TNC.

Amaracus rotundifolius (*Origanum rotundifolium*). IUCN სტატუსი: VU (m). გავრცელება: მდინარე აჭარისწყლის ხეობა, ფერდობებსა და მშრალ კლდეებზე: ქვედა ჭვანა, შუახევი, შუბანი, ხულო: თაგო, ხიხაძირი, ღორჯომი, ვაშლოვანი. ექვემდებარება დაცვას. ჩვენს მიერ დაფიქსირებული კორდინატები – N 41⁰27⁰⁰′/296, E 042⁰14⁷99⁰⁰′, H 529 მ TLC–

Astragalus adzharicus M.Pop. IUCN სტატუსი: EN (h). გავრცელება: ტყის ქვედა და შუა სარტყელი, კლდეები, ფიჭვნარ-მუხნარი ტყეების მშრალ ნაპირებში, უპირატესად მდინარე აჭარისწყლის აუზის ხეობებში. ქედა, ჭვანა, შუახევი, ხულო: ვაშლოვანი, ღორჯომი, ხიხაძირი. ჩვენს მიერ დაფიქსირებული კორდინატები–N41⁰37⁰⁰′/755, E 042⁰12⁶24⁰⁰′, H 464 მ. TLC+

Astragalus sommieri Freyn. IUCN სტატუსი: VU (m). გავრცელება: მდინარე აჭარისწყლის ხეობის კლდეებზე ქედასა და ხულოში. გვხვდება ფიჭვნარ-მუხნარი ტყის ზონაში. ჩვენს მიერ დაფიქსირებული კორდინატები– N 41⁰32⁵78⁰⁰′, E 042⁰14⁹70⁰⁰′, H 544 მ. TNC.

Hypericum nordmanni Boiss.(*H.montbretii* Spach.) გავრცელება: ტყის ზედა სარტყელი და სუბალპური ზონა; ტყის პირები, ბუჩქნარები, ტყის შემდგომი მინდვრები, ზღვ. დონიდან 2000 მ. სიმაღლემდე. ჩვენს მიერ დაფიქსირებული კორდინატები – N 41⁰47¹99⁰⁰′, E 042⁰11⁴65⁰⁰′, H 2315 მ. TLC +

Hypericum ptarmicifolium var. *adzharicum* (*H. Orientale* L.). გავრცელება: 2000 - 2400 მ. სიმაღლემდე ზღვ. დ-დან. მშრალ კლდეები, ქვა-ღორღიანი ფერდობები; უხვად არის ფიჭვნარებსა და მუხნარებში აჭარისწყლის ხეობაში; მახუნცეთი, ქედა, ჭვანა, შუახევი, ხულო, ხიხაძირი. იშვიათად კინტრიშის ხეობაში და სუბალპებში: ჩირუხი,

სარიჩაირი, ტბეთი, სარბიელა. დეკორატიული და სამკურნალო მცენარეა. ჩვენს მიერ დაფიქსირებული კოორდინატები – N 41°38'368'', E 042°09'171'', H 351 მ. TLC +

Linaria adzharica Kem. Nath. (= *L. genistifolia* ssp. *artvinensis* Davis.). IUCN სტატუსი: EN(h). გავრცელება: აჭარისწყლის ხეობის კლდეები: ხიჭაურის, შუახევის, ზამლეის, ხულო–ვაშლოვანი. ჩვენს მიერ დაფიქსირებული კოორდინატები – N 41°38'368'', E 042°09'171'', H 351 მ. TLC +

Osmanthus decorus Boiss. et Bal. Kasapligii.(= *Phillyrea medwedewii* Sred.). IUCN სტატუსი: VU(I). გავრცელება: ზღვისპირა დაბლობი და მთის ქვედა სარტყელი; წაბლითა და მარადმწვანე ქვეტყით მდიდარი ფოთლოვანი ტყეები; ტყისპირები, ქვალორლიანი ჩამონაშალები; თიკერის სატყეო მეურნეობა, ჭახათი, ციხისძირი, ხალა, წყავროკა, სარფი, ბოტანიკური ბაღი, მახუნცეთი, აგარა. დეკორატიულია, ზოგან კულტივირებულია. ჩვენს მიერ დაფიქსირებული კოორდინატები – N41°32'578'', N41°34'319'', E041°52'099'' H 133 მ. TNC+

Primula megaseifolia Boiss. et Bal.ex Boiss. IUCN სტატუსი: EN(h). გავრცელება: უპირატესად წიფლნარებში ხშირი მარადმწვანე ქვეტყით. ზღვისპირა ფერდობებიდან 1200 მეტრამდე ზღვის დონიდან. ჩაქვისწყლისა და ყოროლისწყლის ფერდობები, დაგვა, კინკიშა, აჭარისწყლისა და ჭოროხის ზღვასთან მიმდებარე შენაკადების ხეობები. ზამთარმწვანეა. დეკორატიულია. ექვემდებარება დაცვას. TU07°19'426'', UTM 46°132'97'' H 130.

Quercus dschorochensis (C.Koch.) Menitsky.(= *Q. Petraea* Liebl.ssp *dschorochensis* (C.Koch.)Menitsky. IUCN სტატუსი: VU(I). გავრცელება: ფართოდ არის გავრცელებული მდინარე აჭარისწყლის ხეობის მშრალ ქვიან ფერდობებზე, ხშირად ფიჭვთან თანასაზოგადოებაში; ერთეული ხეები გვხვდება 1300 - 1400 მეტრზე ზღვის დონიდან ნაძვნარებში. მძიმე მაგარ მერქანს აქვს სამეურნეო მნიშვნელობა, მთლიანად ტყეს კი ეროზიის საწინააღმდეგო მნიშვნელობა. ექვემდებარება დაცვას. ხშირად დეფორმირდება. ბუჩქნარ ფორმამდე ტოტების სისტემატურად დამზადების გამო. N41°34'319'', E 041°52'099'', H 135.

Rhododendron ungerii Trautv. IUCN სტატუსი: VU(I). გავრცელება: ტყის შუა, ზოგჯერ ქვედა სარტყლიდან (ჩიქუნეთის მიდამოები ზღვის დონიდან 450 მეტრზე) ტყის ზედა საზღვრამდე (1900 მეტრი ზღვის დონიდან), უპირატესად აჭარა-

იმერეთისა და აჭარა-შავშეთის ქედების ხეობებში ხშირი შქერიანების სახით, რომლებიც უფრო კარგ განვითარებას აღწევენ თბილ ტენიან ზღვისპირა ყოროლისწყლისა და ჩაქვისწყლის ხეობებში, 1000 მეტრამდე ზღვის დონიდან, სადაც აღნიშნულია ნამდვილი ხეები 8 მეტრზე მეტი სიმაღლისა და 30 სმ. დიამეტრზე მეტი ეგზემპლარებით, რომლებიც იზრდებიან გაწოლილ მდგომარეობაში ვიწრო ხეობების ციცაბო ფერდობებზე როგორც წმინდა შქერიანების სახით, ისე წყავთან, პონტურ შქერთან, მედედევის არყთან. დეკორატიულია, შხამიანია. საჭიროებს დაცვას. $N41^{\circ}31'993$ E $042^{\circ}02'776''$ H 1685.

Rhododendron smirnowii Trautv. IUCN სტატუსი: EN(h). გავრცელება: ტყის შუა სარტყელი, ზღვის დონიდან 900-1600 მეტრ სიმაღლემდე, თურქეთის საზღვართან ახლოს, ქედის რაიონში, სოფ. ნამონასტრევი-სათევზიოს მიდამოებში, ორი ხეობის ფერდობებზე, რომლებიც დაკავებულია წიფლნარებითა და წიფლნარ-ნამკნარი ტყეებით უნგერნისა და პონტოური შქერის ხშირი ქვეტყით; ტყიან კლდეებზე; აღმოსავლური ნამკნის ყველა ადგილსამყოფელში. მაღალდეკორატიულია. $N41^{\circ}31'993$ E $042^{\circ}02'776''$ H 1685.

Rhynchospora caucasica Vahl. IUCN სტატუსი: EN(h). გავრცელება: ზღვისპირა ტორფნარი ჭაობები ოჩხამური-ქობულეთის მიდამოებში. ჩვენს მიერ დაფიქსირებული კორდინატები - $N 41.83785^{\circ}$ $E041.79092^{\circ}$ $N 41.83775^{\circ}$ $E041.79083^{\circ}$.

Scrophularia chloranta Ky et Boiss. გავრცელება: ტყის ზედა და სუბალპურ სარტყლებში; ტანბრეცილი ტყეების გასწვრივ, ბუჩქნარებში, ხშირად საქონლის სადგომებთან, ტყის შემდგომ მინდვრებზე სარეველა ტიპისაა. აჭარის მთელი მაღალმთიანეთი. ბეშუმის სასაზღვრო ზოლის ქვალორლიანი ფერდობი, სუბალპური შთენილები. ჩვენს მიერ დაფიქსირებული კორდინატები- $N41^{\circ}35'523''$, E $042^{\circ}35'172''$, H 2181მ.TLC+

Scutellaria pontika C.Koch. გავრცელება: სუბალპური კლდეები და ქვა-ლორლიანი მოშიშვლებული ადგილები; დიდი რაოდენობითაა ხინოს, ტაგინაურის, სარბიელას, ტბეთის მთებზე . გვხვდება 2186 მ. ქვალორლიანი ფერდობებზე. ჩვენს მიერ დაფიქსირებული კორდინატები- $N41^{\circ}45'526$, E $42^{\circ}11'736''$, H

Seseli foliosum (Somm. et Lev.) Mand. გავრცელება: ტყის ქვედა სარტყელი. აჭარისწყლის ხეობის ციცაბო კლდეები, სოფლების აჭარისწყლის, მახუნცეთის, ქედის, ზესოფლის მიდამოებში. დეკორატიულია. საჭიროებს დაცვას. ჩვენს მიერ დაფიქსირებული კორდინატები-N41⁰34/319// , E041⁰52/099//, H 133 მ.TLC+

თავი VI

აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეული სახეობების

ბოტანიკური დახასიათება

კვლევის ობიექტების ბოტანიკური დახასიათების მიზნით დავამუშავეთ 2014-2018 წლებში განხორციელებული ექსპედიციების შედეგად მოპოვებული მასალა, აღწერითი და გაფორმების სამუშაოების დროს ბოტანიკური აღწერილობა შევაჯერეთ მანამდე არსებულ ლიტერატურულ მონაცემებთან (*Джумпиеვა, 1990: 32; 33; მემიაძე, 2004-2009: 19-21; ვარშანიძე, 2009:15, Shetekauri 2009:121*). ტექსტში წარმოდგენილი ფოტომასალა, და ზოგადად, ჩვენს მიერ შექმნილი მდიდარი ფოტო-არქივი მთლიანად ორიგინალს წარმოადგენს.

აჭარული ანგელოზა-*Angelica adzharica* M. Pimen., მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. აქვს ფესვთანაური ფოთლები, რომელთა სიგრძე და სიგანე 40x60 სმ-მდეა. ფოთლები ფრთისებრ დანაკვეთულია, თითოეული ნაკვეთი 4-9 სმ-მდე სიგრძისა და 3-4 სმ-მდე სიგანისაა, კიდე ხერხისებრ დაკბილულია. ყვავილედო ქოლგა, გვირგვინის ფურცლები თეთრი ფერის. თესლი ფართო ოვალური ფორმის, 5 მმ-მდე სიგრძისა და 4 მმ-მდე სიგანის, წახნაგოვანი, ფრთისებრი წახნაგები 1-1,5 მმ-მდე სიგანისაა. ნაყოფმსხმოიარე ეგზემპლარების ღეროები თანაბრად შეფოთლილია.



სურ. 1. *Angelica adzharica*

ა.ა. დმიტრიევას (Дмитриева, 1990) დაკვირვებით, ვეგეტატიური განვითარების მხრივ, გზების გასწვრივ მოზარდები უფრო მრავალრიცხოვანი და მასიურებია, ვიდრე ლოდთან-ლორღთან ადგილებში.

აჭარული ღიღილო-*Centaurea adzharica* alb.(=*c.dmitriewiae* D.sosn.) (სურ.2). 15-30 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. მარტივი, ელიფსურ-მომრგვალო ან ზოგჯერ ფრთისებრ დანაწევრებული ფოთლები თავმოყრილია ღეროს ქვედა ნაწილში, ფესვთანაური ფოთლების სახით მოგრძო ყუნწებზე. შიდა რიგებში განლაგებული ფოთლების სიგრძე მეტია, გარეთა რიგში განლაგებული ფოთლების სიგრძეზე. ფოთოლი ოდნავ ტყავისებრი, ქვემოდან შებუსული, სიგრძეზე დაძარღვული. მოვარდისფრო კალათა ყვავილეთი დაახლოებით 1 სმ. სიგანისაა და კენწრული განლაგება აქვს. ღეროები მცოცავია და ზემოთ აღმართული, დატოტილია და გამერქნებული ფესურასთან.



სურ.2 . *Centaurea adzharica*

შეჯგუფული ერიზიმუმი-*Erysimum contractum* Somm.et Lev. (სურ.3). 15-30 სმ - მდე სიმაღლის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღეროები წარმოდგენილია ფუძესთან მრავალი მოკლე ვეგეტატიური ყლორტით, რომლებიც ზამთარმწვანეა. ფესვთანაური ფოთლები 2-4 სმ-მდე სიგრძის და 3-5 მმ-მდე სიგანისაა, წვრილი, ხაზურა - მოგრძო, ლანცეტური ფორმის ყუნწით, რომლის სიგრძე ფოთლის ფირფიტის ტოლი ან უფრო მოგრძოა. ღეროს ფოთლები მჯდომარე ტიპისაა, 3-სმ-

მდე სიგრძის და 3-4 სმ-მდე სიგანის, წვრილად დაკბილული. ყვითელი ფარისებრი ყვავილედის ყვავილის ყუნწი ზემოთ ირიბულადაა მიმართული. გვირგვინის ფურცლები 1 სმ-მდე სიგრძისაა. ნაყოფი ჭოტი, 3 სმ-მდე სიგრძის, ოთხწახნაგოვანი, საგდულებზე კარგად გამოხატული დამარღვით, მოხრილი წვეროთი, ქვემოთ მიმართული. ღეროები წარმოდგენილია ფუძესთან მრავალი მოკლე ზამთარმწვანე ვეგეტატიური ყლორტით. ფესურა გამერქნებული, გამხმარი ფოთლებით მჭიდროდ დაფარული.



სურ.3. *Erysimum contractum* Somm.et Lev.

აჭარული დათვიმარწყვა-*Psoralea acaulis* Stev. var.adzharica (სურ.4). მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. მრავალრიცხოვანი ყვავილებისგან შედგენილი თავაკი ყვავილედით. ჯამი შებუსუსულია თეთრი ბუსუსებით, გვირგვინი მოკრემისფრო, 15-25 სმ-მდე სიგრძის. ყვავილის ყუნწები ფოთლის უბეებიდან გამოდის. ფოთლები ფართო ელიფსური ფორმისაა, 2-8 სმ-მდე სიგრძისა და 1,5- 7 სმ-მდე სიგანის დაკბილული ფოთოლაკებით. ფოთლის ყუნწები გახევეებულია. ნაყოფი-პარკი სადგისისებრ წაწვეტებული ფორმისაა.



სურ.4 . *Psoralea acaulis*

ყურძნისფოთოლა ბაია-*Ranunculus ampellophylus* Somm. et Lev. (= *R.capadocicus* Wild.)(სურ.5). 20-60 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. გრძელყუნწიანი ფესვთანაური ფოთლები წააგავს ყურძნის ფოთოლს, რომელთა სიგრძე 8-15 სმ-მდეა, ხუთკუთხოვანი, ფართო რომბისებრი, მკვეთრად დაკბილული ნაკვეთებით, ქვედა მხრიდან ღია ფერის, ორივე მხრიდან ხავერდოვანი შებუსვით. ყვავილები ოქროსფერ-ყვითელი, 3 სმ-მდე დიამეტრის. ჯამის ფოთოლაკები გადაშლილი, ნაყოფი თესლურა, 1,5 მმ. სიგრძემდე, მრავალრიცხოვანი. ღერო დატოტვილი, ფესურა მცოცავი.



სურ. 5. *Ranunculus ampellophylus*

აჭარული მაყვალი-*Rubus adzharicus* Saadze (სურ.6). მრავალწლოვანი ბუჩქია. ფოთლები უმეტესად სამფოთოლაკიანი ან იშვიათად ხუთფოთოლაკიანია. ყლორ-

ტები ხშირი, მუქი, წითელ-ყვითელი ჯაგრისებურია. ყვავილები საგველასებრ ყვავილედად შეკრებილი, მოვარდისფრო-მოთეთრო შეფერილობისა. ნაყოფი კენკრა, მოშავო შეფერილობის.



სურ.6. *Rubus adzharicus*

მრგვალფოთოლა ამარაკუსი - *Amaracus rotundifolius* (= *Origanum rotundifolium*) (სურ.7). მცენარეს თითქმის განრთხმული ღეროები აქვს, მრავლად შეკრებილი. ფესვი გამერქნებული, რომლის სიგრძეა 10-25 სმ. გვირგვინის ფურცელი ვიწრო მილისებრი, 18 მმ-მდე დიამეტრის, მკრთალი, თითქმის თეთრი შეფერილობის მოვარდისფრო – მოიასამნისფრო ელფერით. ჯამი შემოსაზღვრულია დიდი-მკრთალი თანაყვავილეებით, რომელთა ფორმა და სიდიდე ღეროს მჯდომარე ტიპის ფოთლებს უთანაბრდება, მათი სიგრძე და სიგანე დაახლოებით 1,5 x 1,8 სმ - ია.



სურ.7 . *Amaracus rotundifolius*

აჭარული გლერძი - *Astragalus adzhharicus* M.Pop. (სურ.8). 10-25 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღეროები მრავლად შეკრებილი, 10-25 სმ-მდე სიგრძის, განრთხმული ყლორტებით. 3-4 სმ - მდე სიგრძისა და 5-7 მმ-მდე სიგანის ფოთლები ვიწრო ხაზურა, ნაცრისფერი ზოლებით, ღეროზე განლაგებული 7-12 წყვილად, ღეროსთან ერთად მონაცრისფრო შეფერილობისაა. ყლორტებს აქვს ულვაშები. ყვავილედები კვერცხისებრი მოყვანილობისაა, 1,5 სმ-მდე დიამეტრის. ჯამი 7-9 მმ-მდე სიგრძის, მოთეთრო-მოშავო შეფერილობის, შებუსუსული. გვირგვინის ფურცლები 1,5 სმ-მდე სიგრძის, მოთეთრო, ღია ცისფერი, კრემისფერი ან ვარდისფერი შეფერილობის. ნაყოფი პარკი, 10 მმ-მდე სიგრძის და 33 მმ-მდე სიგანის, ოდნავ გამობურცული.



სურ. 8. *Astragalus adzhharicus*

სომიერის ასტრაგალი-*Astragalus sommieri* Freyn. 20 სმ-მდე სიმაღლის ბუჩქია. თანაყვავილელი ხშირია, 5 სმ-მდე სიგრძის და 4 სმ-მდე სიგანის. ჯამი შებუსული, დაკბილული. გვირგვინის ფურცლები მოვარდისფრო, ქვედა ნაწილში ღია ყვითელი, 2 სმ-მდე სიგრძის. ფოთლები 10-15 სმ. სიგრძის, ღეროზე 8-10 წყვილად განლაგებული, ქვედა მხარეს კარგად შებუსული, წვერწამახვილებული, დაკბილული, 1,5 სმ-მდე სიგრძისა და 0,5 სმ-მდე სიგანის ფოთოლაკებით. 1,5 სმ-მდე დიამეტრის ღერო გამერქნებულია, დაფარულია პატარა ეკლებით. ფესურა ქვიან გრუნტში ღრმად ჩაზრდილია.




სურ. 9. *Astragalus sommieri*

ნორდმანის კრაზანა-*Hypericum nordmanni* Boiss.(=*H. Montbretii* Spach.)(სურ.10). 60 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ჯამის ფოთოლაკები წამწამისებური ან სუსტად დაკბილულია, კიდეებში ჯირკვლების გარეშე, ხოლო გვირგვინის ფურცლების მსგავსად, მთელ ზედაპირზე შავი ჯირკვლებითა და ზოლებით არის მოფენილი. ჯამის ფოთოლაკები წამახვილებული ლანცეტა ფორმისაა. ყვავილელი ხშირია, 3-4 სმ-მდე სიგრძისა და 3,5-4 სმ-მდე სიგანის. ფოთლები მოგრძო, წვრილი, ბადისებრი დამარღვით. ღერო ფუძესთან ოდნავ მხოხავი, დამფესვიანებელი, სწორმდგომი.



სურ. 10. *Hypericum nordmanni*

აჭარული კრაზანა-*Hypericum ptarmicifolium* var. *adzharicum* (= *H. Orientale* L.) (სურ.11). 10-35 სმ - მდე სიმაღლის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები წყვილად ჯვარედინი განლაგებისაა, მოგრძო ხაზურა, 3 სმ-მდე სიგრძის და 0,4 სმ-მდე სიგანის, ფუძესთან პატარა, ქვევით მიმართული ყურებით, კიდედაკბილული, კიდებზე ჯირკვლებით. ყვავილები შეკრებილია ფარისებრ-ფუნჯისებრ ყვავილედებად. ჯამის ფოთოლაკებს კიდებში ჯირკვლები გააჩნია. გვირგვინის ფურცლები წერტილოვანი ან ზოლებად განლაგებული ჯირკვლებითაა წარმოდგენილი. ნაყოფი კოლოფია, სიგრძეზე დაღარული, ოვალურ-ცილინდრული ფორმის. დერო სწორ-მდგომი, ჯგუფურად გამომავალი გამერქნებული ფესურიდან .



სურ.11. *Hypericum ptarmicifolium* var. *adzharicum*

აჭარული სელიქა- *Linaria adzharica* Kem. Nath. (= *L. genistifolia* ssp. *artvinensis* Davis.) (სურ.13) 20-40 სმ-მდე სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა. წვრილი, ლეგამტრედისფერი შეფერილობის ღეროებითა და ქვემოდან ძლიერ დატოტილი – წვრილი ლანცეტისებრი ფოთლებით. ფოთლები ბოლოებში შევიწროებულია, 4 სმ-მდე სიგრძისა და 0,4 სმ-მდე სიგანის, საყვავილე ყუნწებზეა განლაგებული. ყვავილები მკრთალი ყვითელია, შეკრებილი მეჩხერ საგველა ყვავილედეში. ღეროები ფუმესთან ჩაწოლილი და გამერქნებულია.



სურ.12. *Linaria adzharica*

წყავმაზა-*Osmanthus decorus* Boiss. et Bal. *Kasapligii*.(=*Phillyrea medwedewii* Sred.) (სურ.14) *IUCN* სტატუსი: *VU(I)*. 4 მეტრამდე სიმაღლის პატარა ხე ან ბუჩქოვანი მცენარეა. ფოთლები 6-16 სმ-მდე სიგრძის, 3-6 სმ-მდე სიგანის, მოგრძო ლანცეტა, სქელი, ტყავისებრია, ქვედა მხარეს გამოკვეთილი სქელი დამარღვით. მოკლე ყუნწებზე განლაგებული ყვავილები თეთრი ფერისაა და შეკრებილია უბის ან უბის გარეთა კონებად. გვირგვინის ფურცლები 4-5 სმ-მდე სიგრძისაა. ჯამის ფოთოლაკები 3 მმ-მდე სიგრძის ან 1,3 მმ-მდე სიგრძის და 0,5 სმ-მდე სიგანის. ნაყოფი მოშავო-ლეგა შეფერილობისაა, ელიფსური ერთთესლიანი მუქი იისფერი რბილობით.



სურ.13. *Osmanthus decorus*

ჩაგისებრი ფურისულა-*Primula megaseifolia* Boiss. et Bal.ex Boiss. (სურ.15). ზამთარმწვანე, დეკორატიული 25 სმ-მდე სიმაღლის მცენარეა. მომრგვალო ფოთლები 5-12 სმ-მდე სიგრძისა და 4-10 სმ-მდეა გულისებრი ფუძით, ტყავისებრი, ზემოდან შეუბუსავი, ქვემოდან ძარღვების გასწვრივ შებუსული. ყუნწები მოწითალო ბუსუსებით შებუსული. ყვავილელი ქოლგისმაგვარია, საყვავილე ყუნწი 5-12 სმ-მდე სიგრძისაა. ყვავილედში ყვავილების რაოდენობა 8-12-ია, ჯამის ფოთოლაკები 1,5 სმ-მდე სიგრძისაა. გვირგვინის ფურცლები ვარდისფერ-მეწამული, მოგრძო-მილისებრი, ქვემოთ 2 სმ-მდე დახრილი. მცენარეს ღერო არ გააჩნია, არის მრავალფოთლიანი როზეტა, რომლებიც საკმაოდ ძლიერი ფესურიდან გამოიზრდება.



სურ.14. *Primula megaseifolia*

ჭოროხის მუხა-*Quercus dschorochensis* (C.Coch.) Menitsky.(= *Q. Petraea* Liebl.ssp *dschorochensis* (C.Koch.) Menitsky. (სურ.16). 15-20 მეტრამდე სიმაღლის ხე-მცენარეა. ფოთლები მოგრძო-ელიფსური, 8-12 სმ-მდე სიგრძისა და 3-6 სმ-მდე სიგანის, ტყავისებრი, ქვედა მხრიდან ლეგა შეფერილობის, ძარღვების გასწვრივ მურა შებუსვით, 4-7-ნაკვთიანი. ნაყოფი – რკო 2-2,5 სმ-მდე სიგრძისა და 1,2-1,5 სმ-მდე დიამეტრის, ძალიან მოკლე სანაყოფე ყუნწზე, თითქმის მჯდომარე, მარტოული ან 2-3 ერთად შეკრებილი, ბუდე 1 სმ-მდე სიგრძის, სუსტად გამოზურცული, ქერქლებიანი. მძიმე, მტკიცე მერქანს – სამეურნეო, ხოლო ჭოროხის მუხის ტყეს კი ეროზიის საწინააღმდეგო მნიშვნელობა აქვს. ექვემდებარება დაცვას.

უნგერნის შქერი-*Rhododendron ungerii* Trautv. მაღალდეკორატიული, 3,5 – 6 მეტრამდე სიმაღლის ბუჩქი ან ხე-მცენარეა. საჭიროებს დაცვას. ფოთლები ზემოდან მქრქალი მწვანე შეფერილობისაა, ქვემოდან მოთეთროდ შებუსული, რომელიც მოგვიანებით წითურ შეფერილობაში გადადის. ფორმით უკუკვერცხისებრი, 12-20 სმ-მდე სიგრძისა და 7 სმ-მდე სიგანის, წვერში წაწვეტებული, ფუძე მომრგვალო. ყვავილები შეფერილობით მოთეთრო-მოვარდისფრო, შიდა მხრიდან გვირგვინის ფურცლის თითო ნაკვთზე მწვანე ლაქებით. ჯამის ფოთოლაკები წვრილი, 6-9 მმ-მდე სიგრძის, მტვრიანები სიგრძით გვირგვინის ფურცლებზე უფრო მოკლეა.



სურ.16. *Rhododendron ungerii*

სმირნოვის შქერი-*Rhododendron smirnowii* Trautv. (სურ.17). მაღალდეკორატიული 3-4 მეტრამდე სიმაღლის ბუჩქია. ექვემდებარება დაცვას. მხოლოდ

ერთ-ერთი კლდის თავზე არის აღმოჩენილი ხისმაგვარი ეგზემპლარი დიამეტრით 30 სმ-მდე, ქვედა ნაწილში გაწოლილი ღეროთი. ფოთლები ზემოდან მქრქალი მწვანე შეფერილობის, ქვედა მხრიდან წითური –ყავისფერი შებუსვით, წვერში გლუვი, ოდნავ გვერდზე გადახრილი, 8-12 სმ-მდე სიგრძისა და 3,5 სმ-მდე სიგანის. ჯამის ფოთოლაკები მომრგვალო, 0,5 სმ-მდე სიგრძის. გვირგვინის ფურცლები ვარდისფერი, ჟოლოსფერი –მეწამული შეფერილობის, 3,5-სმ-მდე სიგრძის, ფართოდ გაშლილი, ფუძესთან მილისებური ფორმის. სამტვრე ძაფები მთლიანად შებუსულია. კოლოფი– ნაყოფი მოგრძო ფორმისაა.



სურ.17. *Rhododendron smirnowii*

კავკასიური რინხოსპორა- *Rhynchospora caucasica* Vahl.(სურ.18) მრავალწლოვანი ბალახოვანი 30-80 სმ-მდე სიმაღლის მცენარეა. მაღალი-წვრილი ღეროებით, რომლებზეც განლაგებულია ქერქლიანი თავთავებისგან შემდგარი წვრილი, მცირეყვავილოვანი საგველა ყვავილედები. ღერო უმეტესად დახრილ მდგომარეობაში, უხეში, შეფოთილი და სამწახნაგოვანია, რომელიც მკვირვ კორდს ქმნის. ფოთოლი წვრილი ხაზურა ფორმის, 3 მმ-მდე სიგანის, უხეში, სიგრძით ღეროს აღემატება. ფესურა მოკლეა.



სურ.18. *Rhynchospora caucasica* Vahl.

მწვანეყვავილა შავწამალა-*Scrophularia chloranta* Ky et Boiss.(სურ.18) 1 მეტრამდე სიმაღლის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები 9-16 სმ-მდე სიგრძისა და 8-14 სმ-მდე სიგანის, მკვეთრად დაკბილული, გულისებრი ფუძით, წვერში წაგრძელებული, შიშველი ან სუსტად შებუსული. ყვავილეთი მრავალყვავილოვანი, ვიწრო საგველა, 30 სმ-მდე სიგრძის, გვირგვინის ფურცლები მომწვანო. ნაყოფი კოლოფი, წაწვეტებული კვერცხისებრი ფორმის. ღერო ძლიერი, გლუვწახნაგოვანი.



სურ.19. *Scrophularia chloranta*

პონტოური მუზარადა-*Scutellaria pontica* C.Koch. (სურ.19) 15-30 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღეროები ძირში განრთხმული, დამფესვიანებელი ყლორტებით და უფრო ძლიერი საყვავილე ღეროებით. 5 სმ-მდე სიგრძის ყვავილეთი მცირეყვავილიანია. გვირგვინის ფურცლები მეწამული, 2,5 სმ-მდე სიგრძის, ჯამის ფოთოლაკებთან ერთად გარედან შებუსუსული. ფოთლები ფართო კვერცხისებრი ფორმის, 0,8-1,5 სმ-მდე სიგრძისა და 1 სმ-მდე სიგანის, თითქმის კიდემთლიანი, ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია, ზედა ფოთლები კი მოკლეყუნწიანი.



სურ.20. *Scutellaria pontica*

შეფოთილი ზეზელი - *Seseli foliosum* (Somm. et Lev.) Mand.(სურ.20). საჭიროებს დაცვას. 40-75 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღეროები სწორმდგომი, შეუბუსავი, დატოტილი, გამოდიან გამერქნებული ფესურიდან. ქვედა ფოთლები მრავალრიცხოვანი, 18-25 სმ-მდე სიგრძის და 4-8 სმ-მდე სიგანის, პრიალა, ხაზურად დანაკვთული. ყვავილები ყვითელი შეფერილობის, 6-13 სხივიან ქოლგა ყვავილედად შეკრებილი, ყვავილსაფარი ლანცეტისებური ფურცლებით. ნაყოფი მოგრძო-კვერცხისებრი ფორმისაა.



სურ.21. *Seseli foliosum*

ცხრილში №1 თვალსაჩინოდ მოცემული გვაქვს საკვლევი სახეობების სასიცოცხლო ფორმა და სიმაღლე, რიტმოლოგიური ჯგუფი.

ცხრილი №1

აჭარისა და აჭარა-ლაზეთის საკვლევი ენდემური მცენარეული სახეობების სასიცოცხლო ფორმა, რიტმოლოგიური ჯგუფი, სიმაღლე

№	სახეობა	სასიცოცხლო ფორმა, რიტმოლოგიური ჯგუფი	სიმაღლე (მ)
1	<i>Angelica adzarica</i>	მრავალწლოვანი ბალახოვანი ზაფხულმწვანე	0,5-2,5 მ
2	<i>Centaurea adzarica</i>	მრავალწლოვანი ბალახოვანი ზაფხულ-ზამთარმწვანე	0,15-0,30 მ
3	<i>Erysimum contractum</i>	მრავალწლოვანი ბალახოვანი ზაფხულ-ზამთარმწვანე	0,15-0,30მ
4	<i>Psoralea acaulis</i>	მრავალწლოვანი ბალახოვანი ზაფხულმწვანე	0,70-1,30 მ
5	<i>Ranunculus ampellophylus</i>	მრავალწლოვანი ბალახოვანი ზაფხულმწვანე	0,20-0,60 მ
6	<i>Rubus adzaricus</i>	ფოთოლმცვენი (ნახევრადმარადმწვანე) ბუჩქი	2 მეტრამდე და მეტი

7	<i>Amaracus rotundifolius</i>	მრავალწლოვანი ბალახოვანი ზაფხულმწვანე	0,15 - 0,30 მ
8	<i>Astragalus adzaricus</i>	მრავალწლოვანი ბალახოვანი ზაფხულმწვანე	0,10- 0,25 მ
9	<i>Astragalus sommieri</i>	მრავალწლოვანი ბუჩქოვანი ზაფხულმწვანე	0, 20 მ
10	<i>Hypericum nordmanni</i>	მრავალწლოვანი ბალახოვანი ზაფხულმწვანე	0,60 მ
11	<i>Hypericum ptarmicifolium</i>	მრავალწლოვანი ბალახოვანი ზაფხულმწვანე	0,10-0,35 მ
12	<i>Linaria adzarica</i>	მრავალწლოვანი ბალახოვანი ზაფხულმწვანე	0,20-0,40 მ
13	<i>Osmanthus decorus</i>	მარადმწვანე ბუჩქი ან ხე - მცენარე	2 - 4 მ
14	<i>Primula megaseifolia</i>	მრავალწლოვანი ბალახოვანი ზაფხულ-ზამთარმწვანე	0,25 მ
15	<i>Quercus dschorochensis</i>	ფოთოლმცვენი ხე-მცენარე	15-20 მ
16	<i>Rhododendron ungerii</i>	მარადმწვანე ბუჩქი	2-6 მ
17	<i>Rhododendron smirnowii</i>	მარადმწვანე ბუჩქი	3-4 მ
18	<i>Rhynchospora caucasica</i>	მრავალწლოვანი ბალახოვანი ზაფხულმწვანე	0,30-0,80 მ
19	<i>Scrophularia chloranta</i>	მრავალწლოვანი ბალახოვანი ზაფხულმწვანე	0,80-1 მ
20	<i>Scutellaria pontica</i>	მრავალწლოვანი ბალახოვანი ზაფხულმწვანე	0,15-0,30 მ
21	<i>Seseli foliosum</i>	მრავალწლოვანი ბალახოვანი ზაფხულმწვანე	0,40-0,75 მ

თავი VII

აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეების

ზრდა-განვითარების თავისებურებები

აჭარისა და აჭარა-ლაზეთის საკვლევი ენდემური სახეობებიდან შევისწავლეთ 11 სახეობის ბუნებაში ზრდა-განვითარების თავისებურებები. ეს სახეობებია: *Rubus adzharicus*; *Osmanthus decorus*; *Centaurea adzharica*; *Erysimum contractum*; *Psoralea acaulis*; *Ranunculus ampelophylus*; *Amaracus rotundifolius*; *Astragalus adzharicus*; *Linaria adzharica*; *Primula megasaefolia*; *Seseli foliosum*. ჩვენს მიზანს წარმოადგენდა საკვლევი სახეობების ფენოლოგიური განვითარების თავისებურებების დადგენა და ფენოლოგიური ფაზების დინამიკის გამოვლენა.

ფენოლოგიურ დაკვირვებებს ვაწარმოებდით 2015-2017 წლებში, მარტის დასაწყისიდან ნოემბრის ჩათვლით.

როგორც ცხრილი №1-დან ჩანს, საკვლევ სახეობებში ოთხი მერქნიანი მცენარეა: *Osmanthus decorus*, *Rhododendron ungerii*, *Rhododendron smirnowii*, *Quercus dschorochensis*, ერთი ნახევრადმარადმწვანე ლიანა - *Rubus adzharicus*, დანარჩენი კი წარმოადგენს მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეს. ფენოლოგიური განვითარების თავისებურებებს ვსწავლობდით ძირითადად მათი სასიცოცხლო ციკლის ვირგინიულ, გენერაციულ და სიბერის პერიოდებზე დაკვირვებით. გავანალიზეთ მორფოგენეზის ძირითადი ეტაპები. მრავალწლოვანი ბალახოვანი სახეობების ახალი ყლორტები განახლების კვირტებიდან ფორმირდება, რომლებიც ღეროს ქვედა ნაწილში, ფესვის ყელთან ან ფესვზე მდებარეობს. მიწისზედა ორგანოები ვეგეტაციის დასასრულს უმეტესად კვდება და ქრება, ცალკეული გამონაკლისის გარდა, მაგალითად, ერიზიმუმის, ფურისულას და ღიღილოს შემთხვევაში.

მრავალწლოვან ბალახოვან საკვლევ მცენარეებში დაკვირვება ვაწარმოეთ შემდეგ ფენოფაზებზე: 1) მცენარის მოსვენების მდგომარეობიდან გამოსვლა - ღეროს, ფოთლის, ვეგეტატიური ორგანოების ზრდის დასაწყისი; 2) კოკრობის, ბუტონიზაციის პერიოდი; 3) ყვავილობის დასაწყისი, მასიური ყვავილობა, ყვავილობის დასასრული; 4) ნაყოფებისა და თესლების ფორმირების დასაწყისი; 5) ნაყოფებისა და

თესლების მომწიფება; 6) ვეგეტაციის დასასრული - მიწისზედა ორგანოების კვდომა (ან გამოზამთრება) (ცხრილი 3).

ბალახოვან საკვლევ მცენარეებში განვსაზღვრეთ ძირითადი ფენონტერვალები: 1) ვეგეტაციის ხანგრძლივობა (თვეების, დღეების რაოდენობა) - განახლების კვირტის გააქტიურებიდან და მიწისზედა ორგანოების გამოჩენიდან მათ კვდომამდე პერიოდი 2) ნაყოფმსხმოიარობის პერიოდი - ყვავილობის დასასრულიდან ნაყოფებისა და თესლის მომწიფებამდე პერიოდი (ცხრილი №3).

საკვლევი სახეობების უმეტესობის ვეგეტაცია იწყება როცა ჰაერის საშუალო ტემპერატურა არანაკლებ 2-7°C-ია, თუმცა, მათი ვეგეტაციისთვის საუკეთესო პირობები იქმნება 20-25 °C-ის პირობებში. ჩვენ გვქონდა საშუალება, ბუნებაში დაკვირვებით, თუ როგორ მიმდინარეობდა ყლორტის მორფოგენეზი - ყლორტის აპიკალურ მერისტემაში ჩასახული ღეროს, ფოთლების, კვირტების, ყვავილების და სხვა, განვითარება. ფოთლის თანმიმდევრული ფორმირება: პრიმორდიუმების გამოჩენა, ფოთლის ფირფიტის ფორმირება და ზრდა სრულყოფილებამდე.

მერქნიანი სახეობის *Osmanthus decorus* - ის შემთხვევაში დაკვირვება ვაწარმოეთ შემდეგ ფენოფაზებზე: 1) მცენარის მოსვენების მდგომარეობიდან გამოსვლა - ვეგეტაციის დასაწყისი; 2) ყლორტების ზრდის დასაწყისი, ფოთლების ფორმირება, ზრდის დასასრული; 3) ყვავილობის დასაწყისი - დასასრული; 4) ნაყოფების ფორმირების დასაწყისი, სიმწიფე, ნაყოფმსხმოიარობის დასასრული; 5) ფოთლის ფერთა ცვლა; 6) ფოთოლცვენის დასაწყისი - დასასრული (ცხრილი №2).

ამ უკანსკნელის შემთხვევაში დავადგინეთ ფენონტერვალები: 1) ვეგეტაციის ხანგრძლივობა - დღეების რაოდენობა ვეგეტაციის დასაწყისიდან დასასრულამდე; 2) ყვავილობის ხანგრძლივობა - დღეების რაოდენობა ყვავილობის დასაწყისიდან დასასრულამდე; 3) ნაყოფმსხმოიარობა - დღეების რაოდენობა ყვავილობის დასასრულიდან ნაყოფების მომწიფებამდე; 4) ფოთოლცვენის ხანგრძლივობა - დღეების რაოდენობა ფოთოლცვენის დასაწყისიდან დასასრულამდე (ცხრილი №2).

ზრდის პროცესის და ვეგეტაციური ორგანოების განვითარების, ყვავილობისა და ნაყოფმსხმოიარობის ფენოფაზები დიდად არის დამოკიდებული ჰაერის ტემპერატურაზე, ტენიანობაზე, ნალექებზე. საკვლევი ობიექტების ფენოფაზები,

განსაკუთრებით, ყვავილობა დამოკიდებულია ტემპერატურაზე და ნალექების რაოდენობაზე - წლების მიხედვით თბილ და მშრალ ამინდში, ყვავილობა ხანმოკლეა, ნალექებიანი და შედარებით უფრო გრილი ამინდი ამ ფენოფაზას ახანგრძლივებს.

მოცემული გვაქვს ზოგიერთი მეტეოროლოგიური მონაცემი - ჰაერის მინიმალური და მაქსიმალური ტემპერატურები, ნალექიან დღეთა რაოდენობა, ქარის სიჩქარე (მ/წმ) აჭარისწყლის მეტეოსაგუმავოს 2013-2017 წწ. მონაცემების მიხედვით (ცხრილი №3), რადგან ჩვენი საკვლევი ობიექტების გავრცელების "სიმძიმის ცენტრი" მდინარე აჭარისწყლის ხეობაზე მოდის.

აგებული გვაქვს 11 სახეობის ფენოსპექტრი (ცხრილი №4). ჩვენი დაკვირვებების საფუძველზე, საკვლევი ობიექტების ზრდა-განვითარების ფენოფაზების მიმდინარეობისა და ვადების საფუძველზე, თითოეული სახეობისთვის გამოვიტანეთ ზოგადი და საშუალო მონაცემები.

ჩვენი დაკვირვებების საფუძველზე, საკვლევი ობიექტების ვეგეტატიური და გენერაციული განვითარების გაანალიზებით, ჩამოვაყალიბეთ ფენოფაზების მიმდინარეობის თავისებურებები და ფენონტერვალების ვადები თითოეული სახეობისთვის.

წყავმაზა-*Osmanthus decorus* – მოსვენების მდგომარეობიდან გამოსვლას მარტის თვიდან იწყებს. ზრდა აპრილის მეორე დეკადაში იწყება და სრულდება ივლისის ბოლო და აგვისტოს პირველ დეკადაში, წლიური ნაზარდი შეადგენს 18-20 სმ-ს. ივლისის მეორე დეკადიდან ნაზარდი ღებულობს მუქ მწვანე შეფერილობას. ყლორტის სრული გამერქნება სექტემბერში ხდება. გენერაციული კვირტები ივლისის მეორე დეკადაში იშლება, მასიური ყვავილობა აგვისტოს პირველი დეკადის ბოლოს, მეორე დეკადაში მიმდინარეობს, ხოლო დასასრული სექტემბრის პირველ, ზოგჯერ მეორე დეკადაში აღინიშნება. თესლი მწიფდება სექტემბერ-ოქტომბერში. 2014-2015 წლებში ვეგეტაციის დასაწყისი და დასასრული მსგავსად წარიმართა. 2016-2017 წლებში გაზაფხულის დაბალი ტემპერატურის გავლენით ზრდა დაგვიანებით დაიწყო. სხვაობა 15-20 დღე.

აჭარული ღიღილო-*Centaurea adzharica* - ზამთარმწვანე როზეტის გამოღვიძების დასაწყისია მარტის პირველი დეკადა. აპრილის პირველ დეკადაში ჩნდება გენერა-

ციული ყლორტები, მცენარე მასიურად ყვავილობს მაისის მეორე დეკადაში. ყვავილობას ასრულებს ივნისის პირველ დეკადაში, თესლი სიმწიფეს აღწევს ივლისში. ვეგეტაციის დასასრული ოქტომბერში აღინიშნება.

შეჯგუფული ერიზიმუმი-*Erysimum contractum* - ზამთარმწვანე როზეტის გამოღვიძების დასაწყისია მარტის პირველი დეკადა. მარტის მეორე დეკადაში ჩნდება გენერაციული ყლორტები. მასიურად ყვავილობს აპრილის პირველ დეკადაში. ყვავილობას ასრულებს აპრილის მესამე დეკადაში ან მაისის პირველ დეკადაში. თესლი სიმწიფეში შედის მაისის შუა რიცხვებში. ვეგეტაციას ასრულებს ივნისის დასაწყისში. 2016-2017 წლებში გაზაფხულის დაბალი ტემპერატურის გავლენით ზრდა დაგვიანებით დაიწყო, 2018 წელს კი ზრდის პროცესიც და ყვავილობაც თითქმის ერთი თვით წინ უსწრებდა გასული წლების მონაცემებს.

აჭარული დათვიმარწყვა - *Psoralea acaulis* - მიწისზედა ფოთლების გამოჩენა იწყება აპრილის პირველ დეკადაში, გზისპირებზე და მდინარისპირებზე თბილ და ტენიან ადგილებში გენერაციული ყლორტებიც შეიმჩნევა. ყვავილობის დასაწყისი აპრილის მეორე დეკადაა, მასიურად ყვავილობს მაისის შუა რიცხვებში. ივნისის პირველ დეკადაში ასრულებს ყვავილობას. თესლი მწიფდება ივნისის მესამე დეკადაში. მცენარე ვეგეტაციას ასრულებს სექტემბრის ბოლოდან ოქტომბრის შუა რიცხვებამდე. მიწისზედა ნაწილი ქრება.

ყურძნისფოთოლა ბაია - *Ranunculus ampellophylus* - მცენარე ვეგეტაციას იწყებს მარტის პირველ დეკადაში, ყვავილობას იწყებს აპრილის პირველ დეკადაში, მასიურად ყვავილობს აპრილის მეორე დეკადაში, ყვავილობას ასრულებს ივნისის მეორე დეკადაში, ნაყოფის სიმწიფე და ვეგეტაციის დასასრული ერთდროულად მიმდინარეობს. ივლისის ბოლოს მცენარის მიწისზედა ნაწილი შეუმჩნეველია.

აჭარული მაცვალი - *Rubus adzharicus* - ვეგეტაციას იწყებს აპრილის პირველ დეკადაში. ზამთარმწვანე მცენარეზე ადვილი შესამჩნევია ღია ფერის ფოთლები, რომლებიც აგვისტოს დასაწყისში მუქ მწვანედ იფერება. გახანგრძლივებული ყვავილობა ახასიათებს, ყვავილობს მაისიდან აგვისტომდე. ნაყოფის სიმწიფე და ვეგეტაციის დასასრული ერთმანეთს ემთხვევა ივლის-ოქტომბერში. ზამთარმწვანეა.

მრგვალფოთოლა ამარაკუსი - *Amaracus rotundifolius* - ვეგეტაციას იწყებს აპრილის დასაწყისში. ყვავილობს ივლის - სექტემბერში, თესლი სიმწიფეს აღწევს სექტემბერ-ოქტომბერში, მცენარე ვეგეტაციას ასრულებს ოქტომბერში. ზაფხულ-მწვანეა.

აჭარული გლერძი - *Astragalus adzharicus* - ვეგეტაციას იწყებს ადრე გაზაფხულზე, მარტის პირველ დეკადაში. ყვავილობას იწყებს აპრილის მეორე დეკადიდან, მასიური ყვავილობა აპრილის მესამე დეკადიდან, ყვავილობის დასასრულია მაისის მეორე დეკადა. თესლის სიმწიფეში შედის მაის-ივნისში. მცენარე ვეგეტაციას ასრულებს აგვისტოში.

აჭარულია სელიჭა - *Linaria adzharica* - ვეგეტაციას იწყებს აპრილის მეორე დეკადაში. ყვავილობას იწყებს აპრილის მესამე დეკადაში, ყვავილობას ასრულებს აგვისტო - სექტემბერში. თესლის სიმწიფეს აღწევს აგვისტო - სექტემბერში. მცენარე ვეგეტაციას ასრულებს ოქტომბრის დასაწყისში. გახანგრძლივებული ვეგეტაცია და ყვავილობა ახასიათებს.

ჩაგისებრი ფურისულა - *Primula megaseifolia* - ზამთარმწვანე როზეტის განახლება იწყება იანვრის მეორე დეკადიდან. ყვავილობის დასაწყისი იანვრის მესამე დეკადიდან, ყვავილობის დასასრული თებერვლის მესამე დეკადაში. თესლის სიმწიფე და ვეგეტაციის დასასრული მარტის მესამე დეკადაში.

შეფოთლილი ზეზელი - *Seseli foliosum* - ვეგეტაციას იწყებს მარტის პირველ დეკადაში. აპრილის პირველ დეკადაში ჩნდება საყვავილე ყლორტები. ყვავილობს მაისის პირველი დეკადიდან აგვისტოს პირველ დეკადამდე. ნაყოფი მწიფდება სექტემბრის მეორე დეკადაში. მცენარე ვეგეტაციას ასრულებს ოქტომბრის მეორე დეკადაში. ენდემებს შორის ვეგეტაციის ხანგრძლივობით, ნაყოფის უხვი ნაყოფმსხმოიარობით და აღმოცენების მაღალი კოეფიციენტით გამოირჩევა.

ცხრილში №2 ზოგადად გვაქვს გაანალიზებული და თვალსაჩინოდ მოგვყავს ზრდა-განვითარების ძირითადი ფენოფაზების: ვეგეტაციის დასაწყისის, ყვავილობის დასაწყისი - დასასრულის, ნაყოფმსხმოიარობის დასაწყისი-დასასრულის, ვეგეტაციის დასასრულის ფენოთარიღები (თვეების მიხედვით) და ფენონტერვალები (თვეების მიხედვით).

აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეების საკვლევი სახეობების ძირითადი ფენოფაზები და ფენონტერვალები

№	სახეობა	ვეგეტაციის ხანგრძლივობა (თვეები)	ყვავილობის ხანგრძლივობა (თვეები)	ნაყოფისა და თესლის მომწიფების პერიოდი
1	<i>Osmanthus decorus</i>	აპრილი - ოქტომბერი	აგვისტო - სექტემბერი	ოქტომბერი
2	<i>Centaurea adzharica</i>	მარტი-სექტემბერი	მაისი - ივნისი	ივლისი
3	<i>Erysimum contractum</i>	მარტი-აგვისტო	მარტი-მაისი	მაისი-ივნისი
4	<i>Psoralea acaulis</i>	აპრილი - ნოემბერი	აპრილი - ივნისი	ივნისი-ივლისი
5	<i>Ranunculus ampelophyllus</i>	მარტი - ივლისი	აპრილი - ივნისი	ივნისი-ივლისი
6	<i>Rubus adzharicus</i>	აპრილი - ნოემბერი	მაისი-აგვისტო	ივლისი-ოქტომბერი
7	<i>Astragalus adzharicus</i>	მარტი-აგვისტო	აპრილი - მაისი	მაისი-ივნისი
8	<i>Linaria adzharica</i>	აპრილი-ოქტომბერი	აპრილი - სექტემბერი	აგვისტო-სექტემბერი
9	<i>Primula megaseifolia</i>	იანვარი - მარტი	იანვარი - თებერვალი	მარტი
10	<i>Amaracus rotundifolius</i>	აპრილი - ნოემბერი	ივლისი-სექტემბერი	აგვისტო - ოქტომბერი
11	<i>Seseli foliosum</i>	მარტი - ოქტომბერი	მაისი - აგვისტო	სექტემბერი

როგორც ცხრილიდან ჩანს, ვეგეტაციის ხანგრძლივი პერიოდით, დაახლოებით 8 თვე, გამოირჩევა: *Psoralea acaulis*, *Rubus adzharicus*, *Amaracus rotundifolius*; *Seseli foliosum*; ყველაზე ხანმოკლე პერიოდით, დაახლოებით 3 თვე, *Primula megaseifolia*; დანარჩენი სახეობების ვეგეტაციის ხანგრძლივობა შეადგენს 5-7 თვეს. საკვლევი სახეობებიდან 2 სახეობა *Rubus adzharicus* და *Erysimum contractum* მიწისზედა ორგანოებს ინარჩუნებენ, ისინი ზამთვარმწვანე მცენარეებად შეიძლება ჩავთვალოთ.

ყვავილობის ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი, დაახლოებით 6 თვე ახასიათებს: *Linaria adzharica*-ს, *Rubus adzharicus* და *Seseli foliosum*-ს, დანარჩენი სახეობების ყვავილობა დაახლოებით 2-3 თვე გრძელდება.

ნაყოფებისა და თესლების მომწიფება მიმდინარეობს ძირითადად ზაფხულსა და შემოდგომზე, გამონაკლისია *Primula megaseifolia* და *Erysimum contractum*, რომლათა თესლების მომწიფება გაზაფხულზე ხდება.

Osmanthus decorus მარადმწვანე მერქნიანი მცენარეა. მისთვის დამახასიათებელი ტყავისებრი ფოთლების ფერთა ცვლა გაზაფხულზე – მაისის თვეში, ხოლო ფოთოლცვენა მოიცავს ივნის–აგვისტოს თვეებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური სახეობები დამოკიდებული არიან ჰაერის ტემპერატურაზე. როცა ზამთარი თბილია და ჩვეულებრივზე მაღალი ტემპერატურაა, ისინი ზოგჯერ ერთი და მეტი თვით ადრეც იწყებენ ვეგეტაციის პროცესებს. ჩვენ დაკვირვება ვაწარმოეთ 2018 წლის ესქპედიციური გასვლის დროსაც და საინტერესოა, რომ 2018 წლის გაზაფხულის მაღალი ტემპერატურის გავლენით ბალახოვანი სახეობების ვეგეტაცია 2015- 2017 წლებთან შედარებით 20 – 30 დღით ადრე დაიწყო, რაც განაპირობა გაზაფხულის მაღალმა ტემპერატურამ და უხვმა ნალექმა.

ცხრილი №3

აჭარისწყლის მეტეოსაგუმავგოს 2013-2017 წწ ზოგიერთი მეტეოროლოგიური მონაცემი

2013 წელი												
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
ნალექიან დღეთა რ-ბა	14	11	17	14	9	10	16	14	19	12	11	13
მინიმალური ტემპ-რა	-2,3	0,2	-3,4	6,8	9,1	13,0	14,2	14,2	7,6	5,6	3,8	-5,2
მაქსიმალური ტემპ-რა	18,3	22,3	24,1	32,2	37,4	31,1	28,5	29,5	33,0	30,1	25,5	18,0
ქარის მაქს. სიჩქარე მ/წმ	18	13	25	25	28	23	20	12	27	21	23	29
2014 წელი												
ნალექიან დღეთა რ-ბა	16	10	16	12	17	14	15	9	17	10	14	13

მინიმალური ტემპ-რა	-2,5	-4,8	0,6	0,4	8,0	11,9	16,5	18,1	9,8	4,6	1,6	0,2
მაქსიმალური ტემპ-რა	19,5	21,4	28,0	30,2	29,0	31,6	38,0	33,0	30,1	25,2	22,2	23,2
ქარის მაქს. სიჩქარე მ/წმ	18	12	21	28	18	20	16	21	23	21	26	19
2015 წელი												
ნალექიან დღეთა რ-ბა	13	11	17	22	17	18	12	11	6	19	17	18
მინიმალური ტემპ-რა	-5,0	-1,2	-1,2	2,0	3,4	15,0	14,0	17,4	15,2	5,9	0,4	-2,8
მაქსიმალური ტემპ-რა	16,0	22,0	26,0	31,0	36,5	26,0	31,5	35,5	31,0	25,9	21,5	16,0
ქარის მაქს. სიჩქარე მ/წმ	19	17	24	23	18	12	11	16	13	21	28	19
2016 წელი												
ნალექიან დღეთა რ-ბა	23	14	18	12	20	13	17	13	17	16	8	22
მინიმალური ტემპ-რა	-4,6	-0,7	-0,6	1,4	6,0	9,4	16,2	19,5	7,5	6,8	-0,6	-4,5
მაქსიმალური ტემპ-რა	17,9	25,0	26,8	33,0	29,5	37,5	30,0	31,4	28,5	26,5	26,5	16,0
ქარის მაქს. სიჩქარე მ/წმ	23	21	22	24	12	16	16	23	17	12	16	30
2017 წელი												
ნალექიან დღეთა რ-ბა	17	14	11	12	17	13	12	14	7	20	11	14
მინიმალური ტემპ-რა	-5,8	-7,2	-0,4	0,2	8,1	13,2	16,0	18,6	13,5	7,6	-1,1	0,7
მაქსიმალური ტემპ-რა	19,5	19,5	23,8	28,0	28,9	28,0	35,0	32,5	33,8	28,5	24,4	19,0
ქარის მაქს. სიჩქარე მ/წმ	24	20	20	27	22	19	20	18	20	28	25	22

საკვლევი სახეობების ვეგეტატიური და გენერაციული განვითარების ფენოსპექტრი

№	სახეობა		თვე											
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
1	<i>Osmanthus decorus</i>	ვეგეტაციის ხანგრძლივობა				■	■	■	■	■	■	■		
		ყვავილობა								■	■			
		ნაყოფმსხმოიარობა										■		
2	<i>Centaurea adzharica</i>	ვეგეტაციის ხანგრძლივობა			■	■	■	■	■	■	■			
		ყვავილობა					■	■						
		ვეგეტაციის ხანგრძლივობა							■					
3	<i>Erysimum contractum</i>	ვეგეტაციის ხანგრძლივობა			■	■	■	■	■	■				
		ყვავილობა			■	■	■							
		ნაყოფმსხმოიარობა					■	■						
4	<i>Psoralea acaulis</i>	ვეგეტაციის ხანგრძლივობა				■	■	■	■	■	■	■	■	
		ყვავილობა				■	■	■						
		ნაყოფმსხმოიარობა							■	■				
5	<i>Ranunculus ampelophyllus</i>	ვეგეტაციის ხანგრძლივობა			■	■	■	■	■					
		ყვავილობა				■	■	■						
		ნაყოფმსხმოიარობა							■	■				
6	<i>Rubus adzharicus</i>	ვეგეტაციის ხანგრძლივობა				■	■	■	■	■	■	■	■	

		ყვავილობა												
		ნაყოფმსხმოიარობა												
7	<i>Astragalus adzharicus</i>	ვეგეტაციის ხანგრძლივობა												
		ყვავილობა												
		ნაყოფმსხმოიარობა												
8	<i>Linaria adzharica</i>	ვეგეტაციის ხანგრძლივობა												
		ყვავილობა												
		ნაყოფმსხმოიარობა												
9	<i>Primula megaseifolia</i>	ვეგეტაციის ხანგრძლივობა												
		ყვავილობა												
		ნაყოფმსხმოიარობა												
10	<i>Amaracus rotundifolius</i>	ვეგეტაციის ხანგრძლივობა												
		ყვავილობა												
		ნაყოფმსხმოიარობა												
11	<i>Seseli foliosum</i>	ვეგეტაციის ხანგრძლივობა												
		ყვავილობა												
		ნაყოფმსხმოიარობა												
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII

თავი VIII

აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეული სახეობების კვლევა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობაზე

8.1. აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეული სახეობების სკრინინგი ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ძირითადი კლასების (ალკალოიდების, ფლავონოიდების და კუმარინების) შემცველობაზე

როგორც შესავალშია წარმოდგენილი, ბოლო წლებში სამკურნალო მცენარეები უფრო და უფრო პოპულარული ხდება მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც.

აჭარა და აჭარა-ლაზეთის ფლორისტული რეგიონი მდიდარია სამკურნალო მცენარეებითა და მათი ხალხურ მედიცინაში გამოყენების ისტორიით. ეს თავისებურებები აღვივებს მეცნიერული შესწავლის ინტერესს მათი ქიმიურ-ფარმაკოლოგიური შეფასების თვალსაზრისით.

აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეული სახეობების შესწავლა მას შემდეგ გახდა კიდევ უფრო საინტერესო, რაც გაიხსნა საზღვარი მეზობელი თურქეთის სახელმწიფოსთან. მცენარეებისთვის ადრე არსებული ბუნებრივ-გეოგრაფიული ბარიერები ახლა მარტივად გადასალახავი გახდა. ამიტომაც, აჭარისა და ისტორიული ლაზეთის - საქართველოს თურქეთთან ტრანსსასაზღვრო ზონის მცენარეულობის შესწავლა მეტად აქტუალურია.

კვლევის ამ ეტაპის მიზანს წარმოადგენდა აჭარისა და აჭარა-ლაზეთის 21 ენდემური მცენარის ქიმიური შეფასება. მიზნის მისაღწევად ჩატარდა მათი სკრინინგი ალკალოიდების, ფლავონოიდების და კუმარინების შემცველობაზე.

მცენარეული ნედლეულის სკრინინგი ალკალოიდების შემცველობაზე ჩავატარეთ შემდეგნაირად: დაქუცმაცებული მცენარეული ნედლეული - 1 გრამი, მოვათავსეთ 100 მლ. ტევადობის კონუსურ კოლბაში, დავამატეთ 5%-იანი ძმარმჟავას 10 მლ. და შევანჯღრიეთ 30 წუთის განმავლობაში. მიღებული გამონაწვლილი გავფილტრეთ და ჩავატარეთ თვისებითი რეაქციები.

1 მლ. ფილტრატი გადავიტანეთ სინჯარაში და დავამატეთ 3-5 წვეთი დრაგენდორფის რეაქტივი, ხსნარი აგურისფრად შეიმღვრა, წარმოიქმნა ნალექი, რაც მოწმობდა ალკალოიდების არსებობას.

დრაგენდორფის და მაიერის რეაქტივების მომზადება

დრაგენდორფის რეაქტივი: A-ხსნარი: 0,85 გ ბისმუტის ფუძე ნიტრატს დავამატეთ 10 მლ ყინულოვანი ძმარმჟავა, 40 მლ გამოხდილი წყალი, შევანჯღრიეთ 15 წუთი და გავფილტრეთ.

B-ხსნარი: 8 გ კალიუმის იოდიდი გავხსენით 20 მლ გამოხდილ წყალში.

გამოყენების წინ ერთმანეთს შევურიეთ A და B ხსნარების თანაბარი მოცულობა. მიღებული ნარევის 10 მლ-ს დავამატეთ 100 მლ გამოხდილი წყალი და 20 მლ ძმარმჟავა.

მაიერის რეაქტივი: 1.35 გ ვერცხლისწყლის (II) ქლორიდი $HgCl_2$ (სულემა) გავხსენით 50 მლ გამოხდილ წყალში. დავამატეთ ხსნარს, რომელიც მიღებულია 5 გ კალიუმის იოდიდის (KI) გახსნით, 10 მლ გამოხდილ წყალში და მოცულობა შევავსეთ 100 მლ-მდე.

ალკალოიდების თხელფენოვანი ქრომატოგრაფია

თხელფენოვანი ქრომატოგრაფია:

მოდრავი ფაზა: ქლოროფორმი:მეთანოლი: წყალი 70:20:10.

ალუმინის ფირფიტა სილიკაგელის დაფარვით, 20X20სმ, 60F₂₅₄, MERCK.

ნიმუშების მომზადება:

საკვლევი ნიმუშის მომზადება მოწოდებული ექსტრაქციის სქემის მიხედვით;

მომზადებული ექსტრაქტები 5მგ/მლ მეთანოლში;

ქრომატოგრამაზე ნიმუშის დატანა;

საკვლევი ხსნარები-50 μ l;

ფრონტის სიმაღლე-15 სმ.

დეტექტირება: დრაგენდორფის და მაიერის რეაქტივებით.

კუმარინების აღმოჩენა მცენარეულ ნედლეულში

კოლბაში მოვათავსეთ 5 გრ მშრალი, დაწვრილმანებული ნედლეული, დავამატეთ 50 მლ 95%-იანი ეთანოლი, გავაცხელეთ წყლის აბაზანაზე ადუღებამდე და დავტოვეთ 3-4 სთ. ხშირი შენჯღრევით. სპირტიანი ექსტრაქტი შევასქელეთ 5-10 მლ-მდე. ჩავატარეთ შემდეგი რეაქციები:

1. რეაქცია ლაქტონზე – ორ სინჯარაში ჩავასხით 2-2 მლ სპირტიან ექსტრაქტი. ერთ-ერთ მათგანს დავუმატეთ 0,5 მლ 10% - იანი ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარი. ორივე სინჯარა გავაცხელეთ წყლის აბაზანაზე ადუღებამდე, გავაცივეთ და ყოველ სინჯარას დავუმატეთ 4 მლ გამოხდილი წყალი, თუ ტუტიანი სინჯარა დარჩა გამჭვირვალე, მაშინ რეაქცია ლაქტონზე ითვლება დადებითად. რამდენიმე წვეთი კონცენტრირებული მარილმჟავით შემჟავების შემდეგ გამჭვირვალე სითხე კარგავს ყვითელ შეფერილობას, იმღვრევა და გამოიყოფა ბამბისებრი ნალექი.

2. რეაქცია ლაქტონზე – 3-5 მლ სპირტიან ექსტრაქტს დავამატეთ 10 წვეთი 10%-იანი კალიუმის ტუტის ხსნარი მეთანოლში. ხსნარი გავაცხელეთ წყლის აბაზანაზე და გაცივების შემდეგ დავუმატეთ 5-10 მლ გამოხდილი წყალი, კარგად შენჯღრევის შემდეგ ხსნარი გავანეიტრალეთ 10 %-იანი ქლორწყალბადმჟავას ხსნარით მჟავე რეაქციამდე. ამ დროს შემღვრევის ან ნალექის წარმოქმნა მიუთითებს მცენარეულ ნედლეულში კუმარინების არსებობაზე.

3. დიაზორეაქცია: სინჯარაში ჩავასხით 1-2 მლ სპირტიანი ექსტრაქტი და 3-4 მლ 2%-იან ნატრიუმის ჰიდროკარბონატის ან ტუტის ხსნარი. სითხე გავაცხელეთ წყლის აბაზანაზე ადუღებამდე და შემდეგ დავტოვეთ. ხსნარს დავუმატეთ 2-3 წვეთი ახლადმომზადებული დიაზოტირებული პარანიტროანილინი, ალუბლისფერი-წითელი ან ინტენსიური მუქი წითელი შეფერადება მოწმობს კუმარინების არსებობაზე.

დიაზორეაქტივის მომზადება: 3,5 გ პარანიტროანილინი გავხსენით 45 მლ კონცენტრირებულ მარილმჟავაში, ხსნარი განვაზავეთ წყლით 100 მლ-მდე (500 მლ). ერთდროულად დავამზადეთ 10 % - იანი ნატრიუმის ნიტრიტის ხსნარი. ეს ორი რეაქტივი შვეურიეთ უშუალოდ ანალიზის ჩატარების წინ.

შენიშვნა: მოცემული რეაქციები მოწმობს კუმარინების არსებობას, თუ მცენარეული ნედლეული არ შეიცავს ფლავონოიდებს და ანტრაცენაწარმებს.

კუმარინების თხელფენოვანი ქრომატოგრაფია

სისტემა:

ეთილაცეტატი:პეტროლინის ეთერი 1: 1.

გამომჟღავნება: ნატრიუმის ტუტის 10%-იანი ხსნარით მეთანოლში შესხურების შემდგომ ულტრასონურ არეში მჟღავნდება დიაზორეაქტივით.

ფლავონოიდების აღმოჩენა მცენარეულ ნედლეულში

1. ციანიდური სინჯი: 50 მლ მოცულობის კოლბში მოვათავსეთ 1 გრ დაწვრილმანებული და გამომშრალი ნედლეული, დავამატეთ 10 მლ 95%-იანი სპირტი და გავაცხელეთ წყლის აბაზანაზე ადუღებამდე. კოლბა შევანჯღრიეთ რამდენჯერმე, დავახურეთ თავსახური და დავაყოვნეთ 3-4 სთ-ის განმავლობაში (შეიძლება ღამით დატოვება). დროდადრო ვანჯღრევდით. სპირტიან ექსტრაქტს ვასქელებთ 2 მლ-მდე. შესქელებულ ექსტრაქტს ვყოფდით ორად და გადაგვქონდა სინჯარებში. ყოველ სინჯარას დავუმატეთ 3-3 წვეთი კონცენტრირებული მარილმჟავა. ერთ ერთ სინჯარას დავუმატეთ 30-50 მგ თუთიის ფხვნილი. ორივე სინჯარა გავაცხელეთ წყლის აბაზანაზე ადუღებამდე და დავტოვეთ 5-10 წთ ფლავონოიდების არსებობის შემთხვევაში სინჯარაში, სადაც დამატებულია თუთიის ფხვნილი, სითხე შეიფერება წითელ ან ნარინჯისფერ-წითლად, რაც მიუთითებს ანტოციანიდების შემცველობაზე:

1. ამიაკის ხსნართან ფლავონოიდები, ფლავანონები, ფლავონოლები და ფლავონონოლები იძლევიან ყვითელ შეფერილობას, რომელიც გადადის ნარინჯისფერში ან წითელში. ხალკონები და აურონები ამიაკის ხსნართან მაშინვე იძლევიან წითელ ან მოწისფერ შეფერადებას. ანთოციანები ამიაკის ან ნატრიუმის კარბონატის არსებობისას წარმოქმნიან ლურჯ ან იისფერ შეფერადებას.

2. კატექინები ვანილინის რეაქტივთან (ვანილინის 1% ხსნარი კონცენტრირებულ მარილმჟავაში) წარმოქმნიან წითელ-ჟოლოსფერ შეფერადებას, რაც მიუთითებს ფლოროგლუცინის და რეზორცინის ნაწარმების არსებობაზე.


3. 1 მლ. საკვლევ ობიექტზე ტყვიის ფუძე აცეტატის 2% ხსნარის 3-5 წვეთის დამატებისას წარმოიქმნება ნარინჯისფერ-ყვითელი შეფერადება, რაც ადასტურებს ფლავონოიდების შეცველობას.

ფლავონოიდების აღმოჩენის ქრომატოგრაფიული მეთოდი:

სისტემა: ბუთანოლი:ძმარმჟვა:წყალი 4:1:5.

გამომჟღავნება - ტუტის ხსნარით.

თვისებითი რეაქციების შედეგები ალკალოიდების შემცველობაზე თვალსაჩინოდ ასახულია ქვემოთ მოყვანილ სურათებზე (სურათი 22-24). აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეების სკრინინგის შედეგები (თვისებითი რეაქციებით და თხელფენოვანი ქრომატოგრაფიით მიღებული) ალკალოიდების, ფლავონოიდების და კუმარინების შემცველობაზე, მოცემულია ცხრილში №5.






სურ. 22. თვისებითი რეაქციის შედეგები ალკალოიდების შემცველობაზე


1.*Hypericum nordmanni*; 2.*Ranunculus ampellophyllus*; 3.*Rubus adzharicus*; 4.*Centaurea adzharica*; 5.*Angelica adzharica*; 6.*Amaracus rotundifolius*; 7.*Primula megasaefolia*; 8. *Hypericum ptarmicifolium* var.*adzharicum*; 9.*Quercus petra* var. *Dshorochensis*; 10.

Rhododendron ungerii; 11.*Astragalus sommieri*; 12. *Rhynchospora caucasica*; 13.*Linaria adzharica*; 14.*Seseli foliosum*; 15.*Scrophularia chloranta*; 16.*Scutellaria pontica*; 17.*Psoralea acaulis*; 18.*Erysimum contractum*; 19.*Astragalus adzharicus*; 20.*Osmanthus decorus*; 21.*Rhododendron smirnovii*.


ხსნარში ნალექის წარმოქმნა მოწმობს ალკალოიდების არსებობას (სურ.23). ნალექი წარმოიქმნა აჭარისა და აჭარა-ლაზეთის შემდეგი ენდემური მცენარეული სახეობების შემთხვევაში: 1. *Astragalus sommier*; 9. *Quercus petra var. Dshorochensis*; 5.*Angelica adzharic*; 4. *Centaurea adzharic*; 5. *Hypericum nordmanni*; 6.*Osmanthus decorus*; 7.*Rhododendron smirnovii*; 8.*Erysimum contractum*. ალკალოიდებისათვის დამახასიათებელია ფირფიტის მოყვითალო ფერზე აგურისფერი ლაქები.



სურ. 23 . თვისებითი რეაქციის შედეგები ალკალოიდების შემცველობაზე



1



სურ. 24. ალკალოიდების დეტექტირების შედეგები ექსტრაქციის საწყის (1) და საბოლოო (2) ეტაპზე

აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეების სკრინინგის შედეგები
 ალკალოიდების, ფლავონოიდების და კუმარინების შემცველობაზე

